# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 თებერვალი 2004 №36 (2055) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინელებმა 3:0 საქართველოს ნაკრები გაიმუშტეს



REUTERS

იტალია — ჩეხეთი 2:2. საგოლედ განწირული ჩეხთა მეკარე იაროშირ ბლაჟეკი კრისტიან ვიერის თავურის მერე ძელმა იხსნა



ქართველებს რუმინელთაგან ყველაზე მეტად ადრიან მუტუსი ეშინოდათ და აუხდათ კიდეც — მისგან ორი გოლი მიიღეს



REUTERS

ვარსკვლავთ ამბორი: ლუიშ ფიგუ და დევიდ ბექემი





REUTERS ადანადან

ამაოდ დაშვრნენ გოქდენიზ კარადენიზი და მისი თანაგუნდელები... თავკერძა თურქებს დანიელებმა კაი ალიყური აჭამეს

*უეფას დადგენილ გუშინდელ საამხანაგო დღეს მაგრად დავიჩაგრეთ კავკასიელები. ჯერაც უთავო ჩვენი ნაკრები კვიპროსზე რუმინელებმა წაახდინეს, კვიპროსზევე ლოთარ მათეუსის უნგრეთმა ხომხეთს მოუგო, ახალი ბრაზილიელი მწვრთნელით და იმედით ჩავიდა ისრაელში აზერბაიჯანის ნაკრები და გუშინ ყველაზე მეტადაც შერცხვა – ებრაელებმა ექვსი უპასუხო გოლით დაგვისეტყვეს მეზობლები. საინტერესო ისიცაა, რომ კავკასიურმა ტრიომ ჯამში ნამდვილად ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ათენიდან

ტოდორის ზაგორაკისის საბერძნეთმა ბულგარული ჯებირი გაარღვია

ᲒᲣᲨᲘᲜᲕᲔ უკლებლივ ყველა ჩვენმა თანაჯგუფელმა მეტოქემ ითამაშა. თურქებმა და დანიელებმა ერთმანეთში გააგორეს ბურთი და ვიკინგებმა შინ ძნელად წასაქცევი ოსმალო ბეჭებზე დასცეს. კვიპროსულ ტურნირზე ჩვენსავით დამარცხდა ყაზახეთიც და ეგებ მსოფლიოს შესარჩევამდეც მოუხდეს საქართველოსთან შეხვედრა. ყაზახებმა ლატვიელებთან ყინჩად კი დაიწყეს, მაგრამ სამი გოლის გატანაში ბალტიისპირელებს ხელი ვერ შეუშალეს.

„მეფე ოტოს" დამოძღვრილმა ბერძნებმა მართლაც მეფურად ითამაშეს შინაურ კედლებში და აღმავლობის გზაზე მდგარი ბულგარეთი წააქციეს, უკრაინამ კი მართლაც ამხანაგური კავშირი დაამყარა მოამარ კადაფის ქვეშევრდომებთან და ტრიპოლიში ლიბიელთათვის საპატიო ფრე გაგორდა. შავ კონტინენტზე სამარქაფოებით ჩასული ბლოხინის გუნდი ახალბედა პუკანიჩის გოლით კი იგებდა, მაგრამ მავანმა ლიბიელმა კარიმ მეორე ტაიმის დასაწყისში 45-ათასიან სტადიონზე ტრიბუნები წამოშალა.

ჩვენი ჯგუფელი ალბანეთი რომ თავში წამოსარტყმელი მეტოქე არაა, გუშინაც დამტკიცდა. გერმანულად ნაწრთობმა ჰანს პეტერ ბრიგელის ბიჭებმა შვედების გოლისას ყურები არ ჩამოყარეს და თამაში გამარჯვებით დაასრულეს.

გუშინ ბობოლებმაც იბურთავეს. დუბლინში წაიღლაბუცა მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიამ და ბოლოს აკადემიური ფრე გამოუვიდა ირლანდიელებთან.

მატჩის მსვლელობისას ორჯერ დაწინაურებულ იტალიას მოგება არ დაანებეს მებრძოლმა ჩეხებმა — გამთანაბრებელი მეორე გოლი როსიცკიმ ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანა.

ჰოლანდიელებმა შინ ერთი გოლი აკმარეს დაუღლელ ამერიკელებს. რუდი ფიოლერის გერმანიამ კი კარგა ხნის შესვენების შემდეგ როგორც იქნა, გერმანული ფეხბურთი ითამაშა — დაწინაურებულ გერმანელებს მეომარმა ხორვატებმა მატჩის მიწურულს გაუთანაბრეს, თუმც სტუმრებმა ბოლო წამებზე გერმანელთათვის ჩვეული შეუპოვრობით მაინც გაიტანეს გამარჯვების გოლი.

თვალსასეირო და უხვგოლიანი გამოდგა ბრიტანული დერბი. უელსის და შოტლანდიის მატჩში მხოლოდ ერთ გუნდს გაჰქონდა. ყველაზე მეტად გახარებული ჰეთთრიქოსანი ერნშოუ დარჩა, დამწუხრებული კი შოტლანდიელთა გერმანელი გურუ — საკვირველი იქნება, ბერტი ფოგთსს კარისკენ რომ არ მიუთითონ.

**ბააჩა ძვანტალიანი**



REUTERS ტირანიდან

შვედებმა ბევრი იხტუნავეს, მაგრამ ალბანელებს მაინც წაგებას გამორჩნენ



REUTERS დუბლინიდან

რონალდინიო და თბილისში დანანასროლი ირლანდიელი კევინ კილბეინი



REUTERS ფაროდან

ლუიშ ფელიპე სკოლარი და სვენ გორან ერიკსონი, პორტუგალია და ინგლისი მშვიდობიანად გაიყარნენ



REUTERS პალერმოდან

ალესანდრო დელ პიეროს იტალია ჩეხეთთან ფრეს დასჯერდა

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ 0:1 ᲓᲐᲜᲘᲐ
0:1 მარტინ იორგენსენი (32)
ᲚᲘᲑᲘᲐ 1:1 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
0:1 პუკანიჩი (15), 1:1 კარა (56)
ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ 2:1 ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ
0:1 სელაკოვიჩი (50), 1:1 შკელა (67), 2:1 ალიაი (75)
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ 2:0 ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ
1:0 პაპადოპულოსი (26), 2:0 ვრიზასი (60)
ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ 6:0 ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ
ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ 1:0 ᲑᲝᲡᲜᲘᲐ
ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ 2:0 ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ
ᲑᲔᲚᲒᲘᲐ 0:2 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:0 ᲐᲨᲨ
ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ 0:0 ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ
ᲛᲐᲠᲝᲙᲝ 2:1 ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 1:2 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 2:2 ᲩᲔᲮᲔᲗᲘ
ᲩᲠᲓ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:4 ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ
ᲣᲔᲚᲡᲘ 4:0 ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ 2:1 ᲞᲔᲠᲣ
ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ 1:1 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

### ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲔᲑᲘ (U-21)

ᲚᲘᲑᲘᲐ 0:0 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:2 ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

## ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ 2004

### ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲐᲚᲢᲐ 0:4 ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ (II)
ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ 1:0 ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

### ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 1:1 ᲡᲣᲝᲜᲡᲘ

## 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲐᲖᲘᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ

| | |
|---|---|
| I ᲯᲒᲣᲤᲘ | V ᲯᲒᲣᲤᲘ |
| ᲘᲠᲐᲜᲘ 3:1 ᲙᲐᲢᲐᲠᲘ | ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲔᲑᲘ 1:0 ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ |
| ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ 5:0 ᲚᲐᲝᲡᲘ | ᲘᲔᲛᲔᲜᲘ 1:1 ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ |
| II ᲯᲒᲣᲤᲘ | VI ᲯᲒᲣᲤᲘ |
| ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘ 1:1 ᲔᲠᲐᲧᲘ | ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲘ 2:1 ᲡᲘᲠᲘᲐ |
| ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐ 8:0 ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲘ | ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ 1:2 ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘ |
| III ᲯᲒᲣᲤᲘ | VII ᲯᲒᲣᲤᲘ |
| ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 1:0 ᲝᲛᲐᲜᲘ | ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ 2:0 ᲚᲘᲑᲐᲜᲘ |
| ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ 1:0 ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ | ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ 4:0 ᲛᲐᲚᲓᲘᲕᲘ |
| IV ᲯᲒᲣᲤᲘ | VIII ᲯᲒᲣᲤᲘ |
| ᲩᲘᲜᲔᲗᲘ 1:0 ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ | ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ 3:0 ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ |
| ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲐ 1:3 ᲰᲝᲜ ᲙᲝᲜᲒᲘ | ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘ 2:0 ᲨᲠᲘ ᲚᲐᲜᲙᲐ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვიპროსის ტურნირი 2004

### პირველი ტური. გუშინ

# გამოგვიჭირეს

## რუმინეთი 3:0 საქართველო

1:0, 2:0 მუტუ (30, 70), 3:0 ჩერნატი (87)

*დარასელიამ ვერ გაიტანა პენალტი (10, მეკარე)*

რუმინეთი: სტელია (დოლია 84), სტოიკანი (ტამაში 78), გიონია, რადა, რატი, ფ. პეტრე (კონტრა 46), ო. პეტრე (სოავა 71), პანჩუ (ტარარახე 43), მიტია (ჩერნატი 46), მუტუ, განია (ბრატუ 62)
მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ
საქართველო: გვარამაძე, დარასელია, ქემოკლიძე, წერეთელი, ამისულაშვილი, გოგობერიშვილი (კორღალიძე 67), ნემსაძე (გაბიდაური 83), ქინქლაძე (შაშიაშვილი 46), კვირკველია (მელქაძე 85), ახალაია (სირაძე 28), ს. იაშვილი (მაღრაძე 85)
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა
გაფრთხილება: რატი (9), სირაძე (39), კვირკველია (40), კონტრა (85)
მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)
2 000 მაყურებელი



**პირველი მატჩი**, პირველი მარცხი, თანაც დიდი ანგარიშით — საქართველოს ნაკრებს დროებითი მწვრთნელიც დაგვიანებით დაუნიშნეს და გუნდში წამყვანი ლეგიონერებიც არ ჩამოვიდნენ. ანგელ იორდანესკუს გუნდს კი ასეთი პრობლემები არ აწუხებს და სამი უპასუხო ბურთიც მიართვა მეტოქეს.

მატჩის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდის დროებით მთავარ მწვრთნელს გოჩა ტყებუჩავას დავურეკეთ და თამაშის ამბები გამოვკითხეთ.

— 4-5-1 განლაგებით ვითამაშეთ: ქემოკლიძე და კვირკველია დაცვის მარჯვენა-მარცხენა ფლანგებზე, ცენტრში ორი სტოპერი — წერეთელი და ამისულაშვილი; საყრდენ ნახევარმცველებად გოგობერიშვილი და ნემსაძე იყვნენ, მათ წინ ახალაია, ქინქლაძე და დარასელია, ხოლო თავდასხმაში სანდრო იაშვილი.

**— სანამ პირველ გოლს გაუშვებდით, როგორი თამაში იყო?**

— უკნიდან, მკაცრად ვითამაშეთ და გოლამდე მეტოქეს მომენტი არ შეუქმნია. გოლი ასე გავუშვით — ხელოვნური თამაშგარე გვინდოდა, მაგრამ ერთ-ერთი ჩვენი მცველი პოზიციურად შეცდა, რითაც კარგად ისარგებლა მუტუმ — პირისპირ გავიდა ჩვენს მეკარესთან და გაგვიტანა. საერთოდ, მუტუ საუკეთესო იყო რუმინელთა შორის.

**— პენალტი როგორ დაინიშნა?**

— ახალაია შევიდა მეტოქის საჯარიმოში და მოცელეს, დარასელიამ კუთხეში დაარტყა, მაგრამ სტელიამ მიმართულება გამოიცნო.

**— ახალაია მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა?**

— რაღაცნაირად, უხერხულად დაეცა და, სამწუხაროდ, ხელი მოიტეხა.

**— მეორე ტაიმში გვქონდა გატანის შანსი?**

— როცა ანგარიში 0:1 იყო, ორჯერ შეგვეძლო გათანაბრება — ჯერ ამისულაშვილს აულო მაგარი თავური სტელიამ, მერე რუმინელთა საჯარიმოში მყოფ იაშვილს მაისურაზე მოქაჩეს, მაგრამ, ეტყობა, მსაჯმა ეს ვერ დაინახა და ამის გამო იაშვილს დარტყმა გაუცუდდა — მიზანს ააცილა.

**— ანგარიშიდან გამომდინარე, რუმინეთმა ალბათ მაგრად გვაჯობა...**

— პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, ბიჭებმა კარგად იბრძოლეს. რუმინელებმა მომენტალურად გამოგვიჭირეს შეცდომებზე და გოლები ასე გაგვიტანეს. ასე იყო მეორე გოლზეც, ხოლო მესამეზე ჯარიმა გაითამაშეს და შორიდან გაგვიტანეს — ესეც ჩვენი უყურადღებობის ბრალი იყო. მოკლედ, წვრილ-წვრილი შეცდომების გამო წავაგეთ, თუმც რუმინელთა უპირატესობა გამოცდილებაში ცხადი იყო.

**— მორიგი მატჩი კვიპროსელების წინააღმდეგ გვიწევს — როგორ აპირებთ მათთან თამაშს?**

— ამისულაშვილი და სირაძე თავიანთ კლუბებში ბრუნდებიან, ახალაიაც არ გვეყოლება და შესაძლოა, „დინამოდან" ილია კანდელაკი დავიმატოთ. ერთი სიტყვით, კვიპროსის წინააღმდეგ სხვა შემადგენლობით და სხვა განლაგებით ვითამაშებთ.

**დავით თავართქილაძე**



ადრიან მუტუ ქართველებს უგოლოდ რას გაეყრებოდა და არც გაეყარა კიდეც

# მოგვგვემა მოიგო!

## ამბობენ ქართველები

*ნამატჩევს საქართველოს ნაკრების იმ ფეხბურთელებს შევეხმიანეთ, ვისაც, ალბათ, მომავალშიც მიეცემა შანსი, საქართველოს ნაკრების მაისურა მოირგოს. ვიტალი დარასელიას ამ შეხვედრაში ერთ-ერთ პირველს მიეცა თავის გამოჩენის შანსი. თუმცა მისი პენალტი სტელიას ნადავლი შეიქნა*

**ვიტალი დარასელია**: საშინელად წვიმდა, მოედანი, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი იყო, თუმცა გაცუდებულ პენალტს მარტო ამას არ ვაბრალებ, უკეთ დარტყმაც შემეძლო. მთლიანობაში რუმინეთმა დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ ჩვენ ძირითადის სამი-ოთხი მოთამაშე მაინც რომ გვყოლოდა, არ წავაგებდით. პირიქით, მაშინ მოგებაზეც შეიძლებოდა ფიქრი. მეორე ტაიმის დასაწყისში რუმინელების კართან არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ საოცრად საიმედო იყო სტელია. თამაშის განმავლობაში ამპლუის შეცვლაც მომიხდა, დავიწყე როგორც მარცხენა ნახევარმცველმა, შემდეგ კი შუაში შევიწიე, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქინქლაძე შეცვალეს.

**დავით კვირკველია**: როგორც შეგვეძლო, ვიბრძოლეთ. თავიდან პენალტი ვერ გავიტანეთ, ვიტალის რომ შეეგდო, ვინ იცის, შეიძლება სულ სხვა თამაში წასულიყო. თუმცა, მაინც სჯობს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ამ შემადგენლობით რუმინელებთან, რომლებსაც მხოლოდ კივუ აკლდათ, წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. როდესაც რუმინელებმა დაინახეს, უბრძოლველად არაფერი გამოსდიოდათ, საქმეს სერიოზულად მიუდგნენ და ათამაშდნენ. საერთოდ, ასეთ ვითარებაში ძნელია, ნაკრებს რუმინეთის დონის გუნდის დამარცხება მოსთხოვო. ორი დღის შეკრება, ამდენი გამოუცდელი ფეხბურთელი, მოკლედ, ყველაფერმა თავისი კვალი დაატყო ჩვენს თამაშს.

**— ბოლოს შეგცვალეს, ტრავმა ხომ არ მიგიღია?**

— არა, ახალაიას ტრავმა არ გვეყოფოდა?! ისედაც რა ნაკრებით ვართ ჩამოსულები და ახლა ლადოც აღარ გვეყოლება. თან „დინამოსაც" ძალიან დააკლდება. მე კი ბოლოს შემცვალეს, როდესაც თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთი იყო დარჩენილი. ჯერ მარცხენა ნახევარმცველის, ჩემს ტრადიციულ ადგილზე ვითამაშე, შემდეგ შუაში გადამწიეს, ოღონდ მაშინაც მარცხნიდან ვერთვებოდი შეტევებში.

**გიორგი შაშიაშვილი**: ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. რუმინელებმა გაცილებით ხარისხიანად ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს. მართალია, პენალტი გავაფუჭეთ, ერთი-ორი ნაღდი საგოლე მომენტიც გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ წარმატების არანაირი შანსი არ იყო. მე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩავერთე. არ ვარ ნაჩვევი მეორე ნახევრიდან თამაშს და ალბათ სათანადოდაც ვერ ვითამაშე.

**— მეორე ტაიმში გამოსვლით „ალანიაში" შენი გადასვლის პერსპექტივაც ხომ არ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ? კლუბის წარმომადგენლები ამ თამაშს უნდა დასწრებოდნენ...**

— ჩამოსულები კი იყვნენ, მაგრამ არა მგონია, ამ თამაშით გააკეთონ რაიმე სერიოზული დასკვნა. კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ ალბათ ორივე ტაიმს ვითამაშებ და იქაც შეძლებენ დაკვირვებას. თანაც, თუ რაიმეს სერიოზულად ფიქრობენ, ესენგეზე იქ არ ვიყავი? თამაში არ გამომიტოვებია.

**დავით ერაძე**



დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი და ვიტალი დარასელია

### კვიპროსის ტურნირი 2004

**პირველი ტური. გუშინ**

**ლატვია 3:1 ყაზახეთი**
0:1 აკსენოვი (23), 1:1 პახარსი (39), 2:1, 3:1 ლაიზანსი (44, 51)

**კვიპროსი 0:2 ბელარუსი**
0:1, 0:2 რომაშჩენკო (56, 70)

**უნგრეთი 2:0 სომხეთი**
1:0 საბიჩი (64), 2:0 ლისტეში (75)

**ნახევარფინალი. დღეს**

ბელარუსი — რუმინეთი
ლატვია — უნგრეთი

**მე-5 — მე-8 ადგილებისთვის. დღეს**

კვიპროსი — საქართველო
ყაზახეთი — სომხეთი

# ერთი დინამო მეორეს უყურებს

## ჯეფერსონმა ტყუილად გაიტანა. დინამოს რომერო მოჰყავს

**თბილისის „დინამომ“** კვიპროსული შეკრების ბოლო ამხანაგურ მატჩში ჩეხეთის ქალაქ მოსტის კლუბ „საიდს“ 3:2 მოუგო. ეს გამარჯვება იმითაა საგულისხმო, რომ შეხვედრა დინამოელებმა, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ჩაატარეს, კლუბის 10 ფეხბურთელი ხომ ნაკრების განკარგულებაშია. ორი გოლი მიხეილ ბობოხიძის ანგარიშზეა, ერთიც ბრაზილიელი ჯეფერსონისა. შეხვედრა საკმაოდ უხეში გამოდგა, მსაჯს ორივე გუნდიდან ორ-ორი ფეხბურთელის გაძევება მოუხდა. „დინამოდან“ კანდელაკს და ქოქიაშვილს მოუწიათ ნაადრევად მოედნის დატოვება.

გატანილი გოლის მიუხედავად, ბრაზილიელი ჯეფერსონი სამშობლოში ბრუნდება, მისი თანამემამულე რომერო (და არა ჰომერო, როგორც ეს აქამდე იწერებოდა) კი თბილისში ჩამოჰყვება კლუბს და კონტრაქტზე ხელს აქ მოაწერს. დინამოელების ის შემადგენლობა, რომელიც ნაკრებში ვერ მოხვდა, დილის ვარჯიშების შემდეგ საღამოობით ეროვნული ნაკრების თამაშებს დაესწრება და უქომაგებს.

**დავით ერაძე**

# აშვეთია სიმძიმეს უჩივის

**გუშინ** მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა „შტუტგარტთან“. გერმანელებმა მოსკოველებს სათადარიგო შემადგენლობა გაუყვანეს. მატჩი 3:3 დასრულდა.

„ლოკომოტივის“ ქართველთაგან მალხაზ ასათიანი გამოირჩა, რომლის პასითაც მესამე გოლი „შტუტგარტს“ უინსტონ პარკსმა გაუტანა. მიხეილ აშვეთიამ კი მოედანი უგოლოდ დატოვა — ის მწვრთნელმა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა.

— დღეს თამაში გაგვიჭირდა. დატვირთვების კვალი მაინც გვეტყობოდა და მძიმედ გამოვიყურებოდით — გვითხრა *მიხეილ აშვეთიამ*, ნამატჩევს რუიტში რომ შევეხმიანეთ — ალბათ, რამდენიმე დღეში უფრო მსუბუქად ვიგრძნობთ თავს. შედეგი მით უფროა გულდასაწყვეტი, რომ „შტუტგარტმა“ ძლიერი ფეხბურთელები დაასვენა. თან გერმანელებმა ხუთ წუთში ორი გოლი გაგვიტანეს და ამან ხასიათი გაგვიფუჭა.

უკმაყოფილო იყო *მალხაზ ასათიანიც*, რომელმაც მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა, ცხადია, დაცვის ცენტრში:

— ერთი ტაიმი ჩემთვის საკმარისი არაა. ამით ვერასოდეს ვიქნები კმაყოფილი. ვნახოთ, „მონაკოსთან“ რა იქნება. იმედი მაქვს, ვითამაშებ, თანაც ძირითადში.

შეგახსენებთ, „ლოკომოტივი“ შინ ხვალ დაბრუნდება. 24 თებერვალს კი ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში „მონაკოს“ დაუხვდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ჯინჭარაძე ჩიტიდან გაფრინდა

**ქუთაისის „ტორპედოსა“** და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა პაატა ჯინჭარაძემ რუსეთის პირველდივიზიონელ „ნეფტეხიმიკთან“ გააფორმა კონტრაქტი. ნიჟნეკამსკელები თავიდანვე დიდ იმედს ამყარებდნენ ჩვენებურზე და გუშინ შეთანხმებასაც მიაღწიეს. ქართველი ფეხბურთელი „ნეფტეხიმიკში“ გადასვლას დაყაბულდა.

შეგახსენებთ, რომ ჯინჭარაძემ წინა სეზონი ჩიტის „ლოკომოტივში“ გაატარა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მერე კი ჩიტელებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და ჩვენებურმა გაცლა ამჯობინა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# საქართველო სუფრის ბოლოში

**კიდევ კარგი,** ფიფა-კოკა-კოლამ მორიგი სარეიტინგო ცხრილი კვიპროსული ტურნირის დაწყებამდე გამოაქვეყნა, თორემ საქართველო ალბათ ასეულს მიღმა აღმოჩნდებოდა. რა გასაკვირია, რომ ექსპერიმენტულ-შეთხელებული შემადგენლობით კუნძულზე ჩასულმა ქართველებმა ერთი მატჩიც ვერ მოიგონ, ამიტომაც კაცმა არ იცის, მომავალი თვის რეიტინგცხრილში რომელ ადგილზე ვიქნებით, თებერვალში კი ყველაფერი რიგზეა — ჯერაც ასეულში ვართ და, აბა, რა სალაპარაკოა ერთი ადგილით უკან დახევა. მოკლედ, საქართველო უკვე 94-ეა და კვლავაც საგრძნობლად ჩამორჩება თანაჯგუფელ ალბანეთს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მომავალი მეტოქეებიდან საგრძნობი სარეიტინგო რეგრესი ბერძნებმა განიცადეს, რადგან ერთბაშად ექვსი საფეხურით ჩაქვეითდნენ. თურქეთმა მეშვიდე ადგილი ინგლისს გადაულოცა, ერთი საფეხურით დაქვეითდნენ ალბანეთი და დანია, უკრაინა კი ორი ადგილით ჩამოჩოჩდა. კიდევ ერთი ჩვენი მეტოქე, ყაზახეთი კვლავაც 135-ე ადგილზეა.

მოწინავეთა ათეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, მხოლოდ მექსიკამ დაარღვია ხუთეულის სიმყუდროვე და არგენტინას გაუცვალა ადგილი.

**პაატა ქვანტალიანი**



სერგო ორბელაძემ ჩრდილოეთს მიაშურა

# ლატვიაში გვყავს, ლიტვაში გვეყოლება

**ორშაბათს** გაცხადდა, ლოკომოტივს ორი წამყვანი ფეხბურთელი, ლაშა სალუქვაძე და სერგო ორბელაძე ტოვებსო. რკინიგზელებმა ამასთან დაკავშირებით მოკლედ მოჭრეს — სალუქვაძე და ორბელაძე ერთ-ერთ უცხოურ კლუბში მიდიან გასასინჯადო. ლოკომოტიველებს კლუბის ვინაობა არ დაუკონკრეტებიათ, ეს საქმე რომ გამოვა, სათქმელს მერე ვიტყვითო. ჰოდა, გუშინ შევიტყვეთ, რომ სალუქვაძე და ორბელაძე ვილნიუსში ჩასულან და დღე-დღეზე „ჟალგირისში“ მოეწყობიან. ამის შესახებ რკინიგზელთა გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა გვითხრა.

— სალუქვაძეს და ორბელაძეს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდებათ, ამიტომაც ამ ორის იჯარით გაშვება არც გვიფიქრია, „ჟალგირისი“ ჩვენს ფეხბურთელებს იყიდის და ამით ფინანსურ ვითარებას გამოვისწორებთ.

— ქართველთა დუეტი გასასინჯად ჩავიდა ვილნიუსში?

— არა, მოლაპარაკება პირდაპირ კონტრაქტზეა. ოღონდ ვილნიუსელებს ერთი პირობა აქვთ — ჩვენებთან კონტრაქტს სამედიცინო შემოწმების შემდეგ გააფორმებენ. სალუქვაძე და ორბელაძე კვირის ბოლომდე სრულ გამოკვლევებს ჩაიტარებენ და თუკი ყველაფერი რიგზე იქნება, ტრანსფერი შედგება.

ლევან ყიფიანის თქმით, „ლოკომოტივი“ დღეს აზერბაიჯანში გაემგზავრება ერთი კვირით და ბაქოში რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს.

**პაატა ქვანტალიანი**

# მშვიდობიანი დასასრული

## ამერმა შინ გამოფრენამდე ფრე ითამაშა

დღეს, გამთენიისას, თბილისის „ამერი“ თურქული შეკრებიდან დაბრუნდა, გუშინ კი ამერელებმა ანთალიაში ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. თბილისელთა მეტოქე ლატვიური „რიგა“ იყო, რომელიც ლატვიის შარშანდელ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, წლეულს კი ინგლისელმა პოლ ეშვორთმა ჩაიბარა.

მატჩის წინა ღამეს ანთალიაში წვიმდა და თამაშისასაც არ გადაუღია. ავდარმა მოედანს თავისი კვალი დაატყო და ფეხბურთელებს ბურთის დამორჩილება უჭირდათ. თუმცა ტემპი მაღალი იყო, თამაშმა კი კორექტულად ჩაიარა.

„ამერი“ ბურთს მეტხანს ფლობდა და რიგელთა საჯარიმოს იოლად უახლოვდებოდა, მაგრამ თბილისელებს ბოლო დარტყმა არ გამოსდიოდათ. ლატვიელები კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აწყობას, თუმც გამოსარჩევი მომენტი ვერც მათ შექმნეს და თამაშიც 0:0 დამთავრდა.

„ამერში“ არ უთამაშია ახალწვეულ თავდამსხმელს, ალექსანდრე კაიდარაშვილს, რომელსაც უმნიშვნელო ტრავმა ჰქონდა და მთავარმა მწვრთნელმა თამაზ კოსტავამ დაასვენა.

„ამერის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ასლანაძე (ნადირაშვილი 46), კედელაშვილი, ჩიხრაძე, დავითნიძე, ხუბუა, სილაგავა, შონია, ვერემჩუკი (განუგრავა 60), გარუჩავა, კუსრაშვილი (ვოცირიძე 46), რუსია (წინამძღვრიშვილი 75)*

**გიორგი დარჯანია**

***ფკ ამერის პრეს-სამსახურის უფროსი***

*ბოლნისურ „სიონში“ ორი ძველი ცხუმელია. გაზაფხულიდან „სიონის“ კაპიტან იური გაბისკირიას მხარდამხარ* **თენგიზ სიჭინავაც** *ითამაშებს. ქვემოქართლელებმა 31 წლის ნახევარმცველთან საბოლოოდ გაარკვიეს ურთიერთობა — სიჭინავა სეზონის ბოლომდე სიონელია*



# კრისტალური სიჭი სიონში მივიდა

— „სიონში“ გადასვლით კმაყოფილი ხარ?

— რატომაც არა. ბოლნისელებმა ჩემთვის მისაღები პირობები შემომთავაზეს. ესეც რომ არა, ჩემთვის სპორტული ამბიციებიც მნიშვნელოვანია. „სიონი“ ხომ მესამე ადგილზეა პირველი ეტაპის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულიდან ჩვენს კვალობაზე დიდი მიზნებისთვის ბრძოლა მომიწევს.

— შენი აზრით, რა იქნება „სიონისთვის“ მაქსიმუმი ამ ჩემპიონატში?

— ფაქტია, რომ ერთ-ერთი საპრიზო ადგილის დაკავება და ევროსაგზურის მოპოვება შეგვიძლია. „სიონმა“ ძირითადი ბირთვი ასე თუ ისე შეინარჩუნა. როგორც ვიცი, ბოლნისელები რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და წესით, მეორე ეტაპზე ცუდი გუნდი არ უნდა გვყავდეს.

— „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ გაუწევთ კონკურენციას?

— ვნახოთ, შეუძლებელი არაფერია, განახლდება ჩემპიონატი და ჩვენი მარიფათიც გამოჩნდება.

— „სიონში“ ძველი თანაკლუბელი და მეგობარი იური გაბისკირია დაგხვდა...

— კარგია, ძველი მეგობრის მხარდამხარ რომ გიწევს თამაში. გაბისკირია ჭკვიანი, გამოცდილი ფეხბურთელია.

— სამი წლის წინ მოულოდნელად დატოვე თბილისის „დინამო“, მაშინ სტაბილურად თამაშობდი და ერთ-ერთი საჭირო ფეხბურთელიც იყავი გუნდისთვის...

— „დინამოში“ მაშინ გაურკვეველი ვითარება იყო, თანაც კარიერის რუსეთში გაგრძელების შანსი გამომიჩნდა და „კრისტალში“ გადავედი, სადაც ზვიად ჯელაძე და თემურ გადელია თამაშობდნენ. იქ ორი სეზონი ვითამაშე, მერე კი კლუბში ვითარება აირია, ფინანსური პრობლემები გაჩნდა და „ბალტიკაში“ გადავედი ზვიად ჯელაძესთან ერთად.

— „სიონთან“ სეზონის ბოლომდე გაქვს კონტრაქტი. მერე რას აპირებ?

— ისევ რუსეთში მინდა დაბრუნება. თუმც არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქართველოში დავრჩე, ფეხბურთისთვის დღითი დღე ასაკოვანი ვხდები, თუმც ჯანი ჯერაც მომდევს და სამი-ოთხი სეზონი ჩვეულ დონეზე თამაში არ უნდა გამიჭირდეს.

**პაატა ქვანტალიანი**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 846 | 15 | 14 | ირლანდია | 709 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 828 | 16 | 16 | ბელგია | 693 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 795 | 17 | 17 | პორტუგალია | 681 |
| 4 | 4 | ჰოლანდია | 749 | 18 | 17 | კოსტა რიკა | 679 |
| 5 | 7 | მექსიკა | 742 | 19 | 20 | ხორვატია | 676 |
| 6 | 5 | არგენტინა | 741 | 20 | 19 | შვედეთი | 674 |
| 7 | 8 | ინგლისი | 740 | 36 | 30 | საბერძნეთი | 639 |
| 8 | 6 | ჩეხეთი | 739 | 63 | 61 | უკრაინა | 542 |
| 9 | 8 | თურქეთი | 737 | 90 | 89 | ალბანეთი | 477 |
| 10 | 10 | იტალია | 731 | 94 | 93 | **საქართველო** | 467 |
| 11 | 11 | აშშ | 729 | 135 | 135 | ყაზახეთი | 325 |
| 12 | 12 | გერმანია | 727 | | | | |
| 13 | 14 | კამერუნი | 720 | | | | |
| 14 | 13 | დანია | 712 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ყაველაშვილს აარაუ აურიეს

*ნაგებით დაიწყეს შვეიცარიის ჩემპიონატის მეორე ეტაპი „აარაუმ“ და მიხეილ ყაველაშვილმა. ხუთეულში მყოფი „აარაუ“ შინ ჩვენიანის ყოფილ გუნდს „ციურიხს“ მასპინძლობდა და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდა, მაინც 2:4 დამარცხდა. ყაველაშვილი ტაიმნახევრის მერე შეცვალეს. მან გუნდის პირველ გოლში ლომის წილი დაიდო და მასპინძელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულიც იყო. ჩვენს შვეიცარიელ კოლეგებს ის უკვირთ, მწვრთნელმა ქართველი ნაადრევად რატომ შეცვალა*



— ძალიან კარგად დავიწყეთ და ცუდად დავამთავრეთ. „ციურიხს“ პირველი გოლი მატჩის დაწყებისთანავე გავუტანეთ და გვეგონა, გოლებით ამოვავსებდით — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა — თუმც, როგორც ხდება-ხოლმე, მატჩი ნაადრევად ჩავთვალეთ მოგებულად დ. დავისაჯეთ. „ციურიხმა“ არც ერთი შეცდომა არ გვაპატია, ჩვენ კი სამი-ოთხი უნალდესი მომენტი გაგვიცუდდა.

**— მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ხართ? სასტარტო წაგება იქნებ მოუმზადებლობის ბრალია?**

— ალბათ ესეცაა. პირველი ეტაპის მერე „აარაუში“ ესპანური წარმომავლობის შვეიცარიელი მწვრთნელი მარტინ რუედა მოვიდა. ახალგაზრდა კაცია და ეტყობა, გამოუცდელი. „აარაუს“ ყოფილი თავკაცი „გრასჰოპერმა“ წაიყვანა. პირველ წრეში გუნდი დაცვით ფეხბურთს თამაშობდა და შედეგის შენარჩუნებაზე ფიქრობდა, რუედა კი შეტევის მოყვარულია. მე და ახალი მწვრთნელი გუნდში, ფაქტობრივად, ერთად მივედით.

**— და რუედამ ჯერ ვერ გადააწყო გუნდი თავის გემოზე?**

— ძნელია, ერთ თვეში დაცვითი ფეხბურთიდან შემტევზე გადაეწყო. გუნდში ჯერ კიდევ ბევრია დასალაგებელი, „აარაუ“ პირველ ეტაპზე ხომ სულ სხვა ტაქტიკით თამაშობდა.

**— გადაწყობას ერთი-ორი თვე კიდევ დასჭირდება. გამოდის, უეფას თასის საგზურის მოპოვებაზე ხელი ჩაგიქნევიათ.**

— არც მთლად ეგრეა. „აარაუს“ მიზანი სწორედ ევროპაში თამაშია, საამისოდ ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს და ალბათ სულ ცოტა ხანში თამაშსაც ავაწყობთ. ვნახოთ, რა გამოგვივა...

**კობა ინასარიძე**

# ორი ამბავი

## კარგი: ლომაია მალიორკას მიუახლოვდა
## ცუდი: აბრამიძე სპარტაკს დაშორდა

**საქართველოს** ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია ისევ გამოჩნდა „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში, პირველად — თურქეთში მიღებული ტრავმის შემდეგ. გუშინწინ მოსკოველები ესპანური „ვილიარეალის“ სარეზერვო გუნდს გაეჯიბრნენ და ჩვენებურიც სასტარტო თერთმეტეულში იყო. ნევიო სკალას ბიჭებმა მეტოქე 3:0 დაამარცხეს. ლომაიას საქმე, ფაქტობრივად, არც ჰქონია და მწვრთნელმა პირველი ტაიმის შემდეგ ზუევით შეცვალა.

ქართველი მეკარის ძირითადში გამოჩენა მით უფრო სასიამოვნოა, რომ „სპარტაკ“ — „მალიორკას“ უეფას თასის მატჩამდე დღეებიღა დარჩა. ესპანურ შეკრებას „სპარტაკი“ „ლევანტესთან“ ამხანაგური მატჩით დაასრულებს.

კიდევ ერთი სპარტაკელი ქართველი, ვალერი აბრამიძე კი „სახალხო გუნდის“ დუბლებში ვარჯიშობს და კვლავაც ახალი კლუბის მოლოდინშია. „ხელმძღვანელობამ კატეგორიულად განმიცხადა, რომ გუნდში ჩემი დარჩენა გამორიცხულია. ასე რომ, უკვე აღარაფრის იმედი არ მაქვს. 25 თებერვლამდე რაიმე უნდა ვიღონო“ — გვითხრა გუშინ აბრამიძემ.

**კახა შალამბერიძე**

*ნიკა ჯორჯაძის* ბოლი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციყვი ხეზე

რატომ შეუყვარდა მრეცხავ ვარდოს მედროგე პავლე? მეთიუ კანინგემს ეს ფილმი ნანახი რომ ჰქონდეს ინგლისური სუბტიტრებით, მახვილ პასუხს აუცილებლად გვესროდა. ზოგადად კი, მეთიუს მიაჩნია, რომ ქალებზე საუბარი ჯენტლმენის საქმე არ არის.

მაგრამ მეთიუსთან სალაპარაკოდ ისეთი ციყვი შევარჩიე, მეთიუ უარს ვერ იტყოდა — მისი საყვარელი ფეხბურთელის, ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტნის ცოლი ვიქტორია ადამსი. ამ ქალის სპაისგელზური თიკუნი პოში ჩვენებურად დაახლოებით მარიაჟს, ნატიფს ნიშნავს. ისიც ცნობილი ამბავია, რომ ვიქტორია ძუძუმკერდს ხშირად ლამის მთლიანად მოიშიშვლებს ხოლმე და პოზიორობს.

— პოპ მუსიკაში ეს უბრალოდ ასეა — თუ გინდა ვიღაც იყო, ცოტა უნდა იპოშაო — განმარტავს მეთიუ.

— ჰო, მაგრამ თქვენებური ბიჭები განა პორნოგრაფიულად არ უყურებენ ხოლმე ეროვნული ნაკრების კაპიტნის ცოლს?

— პოშის ჩაცმულობა ოდენ ეროტიზმია, თქვენ კი მკვეთრ ცნებებზე, უბრალოდ, ზოგადი წარმოდგენა გქონიათ.

— თქვენი ბროდქასტი და გაზეთები ხანდახან რომ დასცინიან პოშს, ამაზე რაღას იტყვით?

— გაზეთები ვიქტორიას ირონიულად ეძახიან პოშს, რადგან ის ბექზის ცოლი უფროა, ვიდრე პოში, მაგრამ ცდილობს, ვიქტორია ადამსი იყოს. ამას წინათ პოშმა ცნობილ ამერიკელ რეპერთან სინგლი ჩაწერა, მაგრამ პროექტმა ვერ გაქაჩა და გაზეთებმაც გვარიანად იჭორავეს.

— მოკლედ, ინგლისში პოშს მაგრად წიწკნიან...

— არის ჩვენთან ასეთი კაცი — ჯონათან როსი, ვისაც ტოკშოუ მაგრად მიჰყავს და ერთხელაც ვიქტორია მიიწვია. რაც კი ცუდი და უხერხული შეკითხვაა, როსმა ყველა ვიქტორიას სტყორცნა. მაგრამ პოში იმას პასუხობდა, რასაც მართლა ფიქრობდა. ჰოდა, ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ვიქტორია ეშმაკი და მოხერხებული გოგო არ არის. მეტიც, როსის სარკაზმი მას დიდად არც ესმოდა. შემეცოდა ვიქტორია, ის ჩვეულებრივი გოგოა, მაგრამ ყველა მას აწვება.

— ვიქტორიაზე იმასაც ამბობენ, მოცეკვავე უფროა, ვიდრე მომღერალიო...

— როცა მაიკლ პარკინსონის ტელეშოუზე მომღერალს იწვევენ, ის მომღერალი იქ მდგარ როიალთან აუცილებლად მღერის ლაივში, მაგრამ პოშმა არ იმღერა. როდ სტიუარტს ხმა აღარ აქვს, მაგრამ, რადგან ამ შოუზე მივიდა, ცოტა მაინც წაიღიღინა, პოშმა კი ესეც ვერ მოახერხა.



— ბექემები მდიდრები არიან და თითქოს არაფერი ჰყოფნით, რაც ძვირიანია, ყველაფერს ყიდულობენ და უნდათ, რომ ეს ყველამ დაინახოს — ამის გამოც წიწკნიან ბექზს და პოშს?

— ედალტ-სამყაროს ლეგენდა ლარი ფლინტმა თქვა, ჩემი ერთადერთი დანაშაული ჩემი მდარე გემოვნებააო. შესაძლოა, ბექემების ასეთი ქცევით გაღიზიანდე, მაგრამ ეს უბრალოდ მათი გემოვნებაა და არა ღორობა. ბექზს ერთი გოგოც დაუქირავებია, რომელიც მას წარბებს უსწორებს.

— ბექზი ლონდონელია, ვიქტორია კი არა — როგორ ითრევენ ინგლისელი გოგოები ლონდონელ ქმრებს?

— როგორც ამბობენ, ბექზს ვიქტორია მანამდე შეუყვარდა, სანამ ერთმანეთს გაიცნობდნენ. ქორწინება მათთვის ყველანაირად მომგებიანი გამოდგა, მაგრამ აქ სიყვარულიც იყო — ბექზი და პოში — ეს მთლად ჰოლივუდიც არ არის.

— და როგორი იყო ვიქტორია ყმაწვილქალობაში?

— სახეზე მუწუკები ჰქონდა და თანატოლები დასცინოდნენ. ვიქტორიას მშობლები მაშინაც მდიდრები იყვნენ, როლს-როისით დადიოდნენ, მაგრამ ვიქტორიას ეს არ უყვარდა — სკოლაში ფურგონით სიარული ერჩივნა. მშობლები მას მკაცრად არ ეპყრობოდნენ, უბრალოდ, ვიქტორია კარგად აღზარდეს, ადამიანების პატივისცემა ასწავლეს.

— იქნებ ისიც გვითხრათ, როგორი დედიკოა ვიქტორია?

— ვიქტორია ამბობს, მშრომელი დედა ვარ, ბრუკლინი და რომეო ისე უნდა აღვზარდო, როგორც ჩემმა მშობლებმა მეო. ვიქტორია იმასაც დასძენს, არასდროს დამთვრალვარო. ერთი სიტყვით, პოში მორცხვი გოგოა, ეს მას თვითონაც ხშირად უთქვამს.

— და სულ ეგ არის ბექზის ცოლი?

— ვიქტორია ამბობს, ძლიერი ქალი ვარ, მაგრამ ძალიან, წარმოუდგენლად ემოციურიო — ალბათ, მართალიც არის.

— როგორც უნდა იყოს, სექსუალური იმიჯი ვიქტორიასთვის მნიშვნელოვანია.

— ჰო, მაგრამ ეს მისთვის პრიორიტეტი არ არის. მომწონს, რომ ფოტოკამერები სულ ჩემსკენ ისვრიან, მომწონს, როცა მშვენიერი ვარ ჩემი ჩაცმულობით, მაგრამ ეს სექსუალურობა არ არის, მინდა, რომ გოგოები და ქალები იდენტიფიცირებულები იყვნენ ჩემთან მიმართებაში — ამას ამბობს ვიქტორია და ის ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს.

მეთიუ გაბრაზდა, მაგრამ მალევე ჩაიცინა. გადანახული რამ, ვიქტორიას ერთ-ერთი ინტერვიუ დამიდო წინ, ფაქტობრივი მასალა, სადაც ბექზის ცოლი იმას ჰყვება, რომ ცხოვრებაში სულაც არ არის სექსუალური და რომ არც მისი სექსუალური ალკაზმულობა უყვარს — როცა ამას ვაკეთებ, თავს არაკომფორტულად ვგრძნობ — ასე მთავრდება ვიქტორიას ინტერვიუ.

თურმე, პოში ციყვი არ ყოფილა.



# მადონინა ბრაზილიურად

## ნამცხვარზე ტკბილი გოლი

## ადრიანომ დიდას დედას ვუტირებო

*ადრიანოს ოცდამეორე დაბადების დღის აღნიშვნა თანამემამულე დიდას კარში გოლის გატანით სურს, ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ შაბათს მილანში დერბია. „მილანი“ „ინტერს“ ხვდება და „შავ-ლურჯების“ ფორვარდი „შავ-წითლების“ ფორვარდს გოლის გატანას უპირებს*



„ძალიან მიყვარს დიდი ფეხბურთელების გვერდით თამაში — განაცხადა „პარმადან“ „ინტერში“ იანვარში გადასულმა თავდამსხმელმა, რომელსაც საყოველთაოდ მიიჩნევენ დიდ, ამომავალ ვარსკვლავად — სასიამოვნო და სახალისოა, როდესაც ერთ დღეს ასეთი ხალხის თანაგუნდელი ხარ, მეორე დღეს კი მოწინააღმდეგე, თუმც როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ყველაფერზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.“

მართლაც, მილანურ დერბიში ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, მადონინაში, ამჯერად ბევრი ბრაზილიელი მიიღებს მონაწილეობას. „სან სიროზე“ ერთმანეთის პირდაპირ წარსდგებიან კაკა, კაფუ, დიდა და სერჟინიო ერთი მხრივ, ხოლო ადრიანო მეორე მხრივ.

„დაბადების დღეზე, ვარჯიშის შემდეგ ნამცხვარი გეახელით. ეს იყო და ეს — უთხრა ადრიანომ ჟურნალისტებს — შაბათს კი ყველა ღონეს ვიხმარ „მილანი“ ზეწოლის ქვეშ რომ მოვაქციო და „ინტერს“ გამარჯვება მოვუტანო. ამ შეხვედრაში გამარჯვება ჩვენთვის აუცილებელია“.

შეუძლებელია ბრაზილიელი თავდამსხმელის მოსაზრებას არ დაეთანხმო. აშკარაა, რომ მადონინაში გამარჯვება აუცილებელია როგორც „მილანისთვის“, ასევე „ინტერისთვის“. კერძოდ, „მილანმა“ მართალია, ორი ტურის წინ, „პერუჯას“ 2:1 ძლევით სერია A-ს ცხრილში მდევართან, „რომასთან“ ხუთქულიანი, ხოლო ჩემპიონთან სულაც რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ გასულ კვირას „ლეჩეს“ ვერ მოუგო და მართალია, „რომასთან“ ისევ ხუთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა (იმ ტურში ვერც „რომამ“ გაიმარჯვა), სამაგიეროდ, „იუვენტუსთან“ შეუმცირდა სხვაობა ექვს ქულამდე. წინ კი 13 ტურია, რაც ერთი, რომ ბევრია და მეორეც, „მილანს“ ამიერიდან სერია A-ს ტურებს შორის ჩემპიონთა ლიგის თამაშები ელის, რაც აშკარად ზედმეტ და მნიშვნელოვან დაღლას ნიშნავს. ერთი სიტყვით, „მილანს“ მოგება სჭირდება.

რაც შეეხება „ინტერს“, გასულ კვირაში მან ჯერ ქვეყნის თასის ნახევარფინალში წააგო „იუვენტუსთან“ და მერე შინ, „სან სიროზე“ „უდინეზემაც“ აჯობა, რაც ბევრმა, ისედაც მუდმივად კრიზისული გუნდის მორიგ კრიზისად შეაფასა.

„მე ოპტიმისტი ვარ და ასეთად ვრჩები — თქვა ადრიანომ — ვგრძნობ, რომ ჩემი ყველას სწამს, რის გამოც მეც გაცილებით მოწადინებით და დაჟინებით ვთამაშობ. გამოგიტყდებით, მეტისმეტად მინდა შაბათს, „მილანის“ კარში გოლის გატანა“.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „ინტერის“ მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის სასიხარულოდ შეიძლება ითამაშოს კრისტიანო ძანეტიმაც, რომელიც რამდენიმე თვიანი მკურნალობის შემდეგ ვარჯიშს შეუდგა.

ამასობაში, მილანელის საწვრთნელ ცენტრში, პრესკონფერენცია გამართა „შავ-წითელთა“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ. ჟურნალისტებმა მას ჯერ წინა ტურში „ლეჩესთან“ ფრეზე, ანუ დაკარგულ ორ ქულაზე ჰკითხეს, ანჩელოტიმ უპასუხა:

„ძალიან გვწყინს ლეჩეში რომ ვერ მოვიგეთ. გავნაწყენდით იმიტომაც, რომ მსაჯმა ყვითელი ბარათით დასაჯა ჩვენი კაპიტანი პაოლო მალდინი, რომელიც ამის გამო დისკვალიფიცირებულია და შაბათს „ინტერის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ვფიქრობ, იმ ეპიზოდში მსაჯმა მალდინისა და ლეჩელი ბოვოს შეჯახება სწორად ვერ შეაფასა. იმ მომენტში მეორე ყვითელი ბარათით დასჯას ბოვო იმსახურებდა, თუმცა რაც მოხდა, მოხდა, ჩვენ საკუთარ ძალთა რწმენა და ოპტიმიზმი არ დაგვიკარგავს“.

ამის შემდეგ ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ყველაფრის მიუხედავად „ლეჩესთან“ შეხვედრით უკმაყოფილო არ დარჩენილა:

„ვია დელ მარეზე“ ნათამაშევი ფრე პრინციპში დადებითი შედეგია. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როგორ ვთამაშობდით და იმის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, „მილანი“ კარგ ფორმაშია და ჩვენ პრობლემები არ გვაქვს“.

აი, ამ შეფასების შემდეგ ანჩელოტის პრესკონფერენციაზე საუბარი შაბათის მადონინაზე გადავიდა.

„დერბი ყოველთვის საგანგებო მნიშვნელობის მოვლენაა. თან, ამჯერად დერბი მხოლოდ დერბიც არაა, აქ ლაპარაკია სატურნირო ცხრილში ქულების დასამატებლად ბრძოლაზე. იმედი მაქვს, რომ თამაში სანახაობრივი გამოვა, როგორც ბოლო წლებში გამოდის. ეჭვი არ მეპარება, რომ „ინტერი“ ყველა ღონეს იხმარს, რათა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ჩვენ უკიდურესად ყურადღებით უნდა ვიყოთ, მაგრამ შიშზე ფიქრიც არ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ფილიპო ინძაგი სრულიად ჯანმრთელი შეხვდება ამ მატჩს. იგი ხომ სამშაბათიდან უკვე ვარჯიშობს“.

**პაპუნა ძიდია**

# მოდი და გაიგე, რა ხდება

## იაპ სტამი ბებერ ქალბატონს შავ-წითელს ამჯობინებს




იაპ სტამის საგამ ახალი მიმართულება მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ გუშინწინდელი ცნობების თანახმად, ჰოლანდიელი მცველის „მილანში“ გადასვლა განაღდებული ამბავი იყო, გუშინ კი ითქვა, რომ განაღდებული და გადაწყვეტილი არაფერია. წყარო ამ ორ განცხადებას სხვადასხვა კი ჰყავდა, მაგრამ ორივე ისეთი იყო, რომ წესითა და რიგით, ერთადერთი ჭეშმარიტება უნდა სცოდნოდა — „მილანის“ შესახებ სტამის ჰოლანდიელმა აგენტმა ჰენკ ვან გინკელმა განაცხადა, ხოლო ის, რომ „მილანის“ შესახებ ნათქვამი სულაც არ არის ერთადერთი სინამდვილე, იმავ სტამის იტალიელმა წარმომადგენელმა, პასკუალე ბრუნომ თქვა.

„მართალია, რომ სტამი შეიძლება „მილანში“ გადავიდეს, მაგრამ კატეგორიული განცხადება იმისა, რომ იგი „ინტერში“ ან „იუვენტუსში“ არ გადავა, სწორი არ არის — თქვა ბრუნომ — მე „ბებერი ქალბატონის“ წარმომადგენლებს ძალიან კარგად ვიცნობ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ისინი მათთვის სასურველ ფეხბურთელს იოლად არავის დაანებებენ“.

სხვათა შორის, ბრუნომ განაცხადა ისიც, რომ სტამის „ლაციოში“ 2005 წლამდე დარჩენაც არ არის გამორიცხული.

„ის შეიძლება დარჩეს კიდეც — ამბობს აგენტი — მას უყვარს რომი და თანაგუნდელებთან საუცხოო ურთიერთობა აქვს. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ თუ გამოჩნდება ვინმე, ვინც „ლაციოს“ შეისყიდის და რომაულ კლუბს ფინანსური პრობლემები აღარ ექნება, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს“.

მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს „ლაციო“ თავისი რეალური პრობლემებით და ფაქტით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავი სატრანსფერო ბაზრისთვის ჰყავს გადადებული.

„ჩვენ ისეთ მდგომარეობას, როგორიც დეიან სტანკოვიჩის გარშემო შეგვექმნა, ველარ დავუშვებთ — თქვა „ლაციოს“ პრეზიდენტმა უგო ლონგომ — ისედაც მწარედ ვიწვნიეთ სტამთან კონტრაქტის გაგრძელება რომ ვერ შევძელით. ერთი სიტყვით, იაპის ხელშეკრულება ჩვენთან 2005 წლამდეა და იგი მის განახლებას არ აპირებს“.

და ბოლოს, თავად 31 წლის მცველს მოვუსმინოთ:

„თუ რომიდან წავალ, მხოლოდ ქალაქ მილანში. „იუვენტუსს“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ტურინში გადასვლა არ მხიბლავს, აი, „მილანში“ ან „ინტერში“ თამაში და ტიტულების მოგება ფეხბურთიდან წასვლის წინ ნამდვილად კარგი იქნებოდა“.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარეკი ტურინში გარეკავს

## იანკულოვსკის ჯერ უდინეზე ედარდება

„**უდინეზეს**“ ნახევარმცველი, გამორჩეული მარეკ იანკულოვსკი არ მალავს, რომ მისი ოცნება იტალიის ახლანდელი ჩემპიონის, „იუვენტუსის“ წევრობაა და ჭორებიც სწორედ ამ მიმართულებით ირხევა. ბოლო ხანს სულ უფრო დაჟინებით ავრცელებენ ხმას, რომ იანკულოვსკისა და ტურინის გუნდს შორის ყველაფერი მოგვარებულია, ანუ მომავალ ზაფხულს ჩეხი „ბებერ ქალბატონს“ შეუერთდება.

„ჩემი მომავალი მართლაც შეიძლება „იუვენტუსს“ დაუკავშირდეს — განაცხადა ჩეხეთის ნაკრების ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოთამაშემ — მე თუ მექნება საკუთარი ბედის სხვათა ჩაურევლად არჩევის შესაძლებლობა, აუცილებლად ტურინულ კლუბს ავირჩევ, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იქ ჩემი მეგობრის, პაველ ნედვედის მხარდამხარ ვითამაშებ“.

სხვათა შორის, „ნაპოლის“ ყოფილი წევრი, იანკულოვსკი, სულაც არ გახლავთ ერთადერთი უდინელი, ვისმა თამაშმაც სერია A-ს მიმდინარე სეზონში საზოგადოებას თვალი მოჭრა.

და მაინც, იანკულოვსკის მიაჩნია, რომ მომავალსა და შესაძლო ტრანსფერზე ფიქრმა მას მიმდინარე გეგმები თუ ამოცანები არ უნდა დაავიწყოს და აურიოს.

„მე ყველაფერზე მეტად მობილიზებული ვარ, რომ „უდინეზეს“ უეფას თასზე გამსვლელი ადგილის მოპოვებაში დავეხმარო, ხოლო ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მსურს მოვიპოვო. ამის მერე ჩემი დიდ კლუბში გადასვლა მართლაც სხვა ელფერისა იქნება“ — თქვა ჩეხმა.

**პაპუნა ძიდია**

# ახალი ინდური ფილმი: გოლები და უურისძიება

**შენ დაუკარ!** ინდოეთში კარგი რამ მოხდა. აი, ნახეთ: ორი გუნდი რეგიონული ლიგის მეორე დივიზიონიდან პირველში ასვლას ლამობდა და ერთმანეთს ეჯიბრებოდა. არა, ეს გუნდები ერთმანეთს კი არ ხვდებოდნენ, უბრალოდ კონკურენტები იყვნენ. ერთი სიტყვით, ვისაც ბურთების სხვაობა უკეთესი ექნებოდა, ზედა ლიგაშიც ის ავიდოდა, არადა, ბოლო ტური იყო. მოკლედ, ორივეს უნდოდა კონკურენტზე დიდი სხვაობით მოეგო იმ, ჩემპიონატის ბოლო მატჩში და... როგორ ფიქრობთ, რამდენი გოლი გავიდა ჩვენთვის საინტერესო ორ სტადიონზე?

ასთექვსმეტი!

ვიმეორებ, ასთექვსმეტი (116)!

...ამბავი, რომელსაც მოგახსენებთ, ერთ ფეხბურთზე გადარეულ სამხრეთულ შტატში მოხდა. შტატს გოა ჰქვია, ხოლო ისტორია არქივიდან სულაც არ გახლავთ ამოღებული. აგერ, სამი დღის წინ, ორშაბათს მოხდა. კონკურენტი გუნდები გახლდნენ „კარტორიმ ჯიმი“ და „ვილფრედ ლეჟარი“. მერედა, ძალიან საინტერესო ის არის, რომ „კარტორიმ ჯიმი“ „სანგოლდ ლაითნინგს“ პირველი ტაიმის მერე 1:0-ს უგებდა, მაგრამ კონკურენტის ამბის გასაგებად „იქითა“ სტადიონზე დარეკა და გაიგო, რომ „ვილფრედ ლეჟარი“ „დონა პაულა სპორტს“ 6:1 უგებდა.

აი, ამის შემდეგ დაიწყო! „კარტორიმ ჯიმისა“ და „სანგოლდ ლაითნინგის“ შეხვედრა არც მეტი, არც ნაკლები, 61:1 დასრულდა (ჰმ, გაუშვიათ!), ხოლო „ვილფრედ ლეჟარმა“ „დონა პაულა სპორტსი“ საბოლოოდ 55:1 დაამარცხა. როგორც ხედავთ, ვილფრედელებსაც დაურეკავთ „აქეთ“.

ახლა იკითხავთ, როგორი იყო ამ თანაბარი ქულების მქონე გუნდების გატანილ-გაშვებულთა სხვაობა ბოლო ტურის წინ? „კარტორიმ ჯიმის“ შედეგი თუ მაჩვენებელი ხუთით სჯობდა „ვილფრედ ლეჟარისას“.

„ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ორივე გუნდი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დავსაჯეთ“ — განაცხადა შტატის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა სავიო მესიასმა, რომელმაც დასძინა, რომ კლუბები მხოლოდ შეჯიბრებიდან კი არ გაყარეს, არამედ ასოციაციიდანაც.

**პაპუნა ძიდია**



# მომავალი უფალს ეკუთვნის!

## ფიგუ რეალში არ დაწყებულა და არც დამთავრდება

*ბოლო დროის პორტუგალიელი ვარსკვლავის, ლუიშ ფიგუსა და მადრიდის „რეალის“ ურთიერთობაში გამოსათხოვარი ნოტები შეინიშნება. აი, ჟურნალ „ა ბოლასთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც გაკრთა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ფიგუმ, შესაძლოა, „სამეფო კლუბი“ დატოვოს*

**როდესაც** პორტუგალიის ნაკრებისა და „რეალის“ მარჯვენა გარემარბს ჰკითხეს ამის შესახებ, მან განსხვავებით იმისგან, რასაც ერთი წლის წინ მიუგებდა, ასე უპასუხა:

„მომავალი უფალს ეკუთვნის. მე ჩემი გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს... თუმცა, მოდი ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, რადგან „რეალთან“ კიდევ ორი წლით მაქვს კონტრაქტზე ხელი მოწერილი“.

შემდეგ ჟურნალისტებმა ფიგუს შეახსენეს, რომ მათთვის ცნობილია მისი და „რეალის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის მოლაპარაკებების შესახებ, რომელთა დეტალებიც ფართო საზოგადოებრიობას აინტერესებს.

„ერთხელაც მინდა გავიმეორო, ჩემი კონტრაქტი „რეალთან“ კიდევ ორ წელიწადს ითვალისწინებს და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ხელშეკრულების პირობები ჩემი მხრიდან არ დაირღვევა. მინდა ამ კონტრაქტის ყველა პირობა შევასრულო“.

ჟურნალისტებს აგრეთვე მოაგონდათ ფიგუს აღრინდელი ფრაზა: „მადრიდში რომ არ მაფასებდნენ, ჩემოდნები კარგა ხნის ჩალაგებული მექნებოდა“-ო და ჰკითხეს, თუ რას გულისხმობდა ამ ფრაზაში კონკრეტულად. პორტუგალიელმა გარემარბმა მიუგო:

„როდესაც ადამიანი ნამდვილი პროფესიონალია, იგი სწორედ ამას განიცდის. დიახ, თუ კაცს სამსახურში არ აფასებენ, ერთადერთი, რაც ამ კაცმა უნდა გააკეთოს, ახალი სამსახურის მონახვა გახლავთ. ეს ყოველთვის და ყველგან ასე იყო და ყოველთვის და ყველგან ასე იქნება. ჩემთვის ფეხბურთი „რეალში“ არ მთავრდება, ვინაიდან ის „რეალში“ არც დაწყებულა. მადრიდამდე „სპორტინგსა“ და „ბარსელონაში“ ვთამაშობდი“.

იყო ერთგვარად მზაკვრული შეკითხვაც:

„მადრიდში თქვენი ადგილის დაკარგვა დევიდ ბექჰემის გამოჩენასთან ხომ არ არის დაკავშირებული?“

ფიგუმ უპასუხა: „მე არაფერი დამიკარგავს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩემი სტილი მაქვს და ამ სტილიდან გამომდინარე მოედანზე ყოველთვის მომეპოვება ადგილი. პრობლემების შექმნა კი ნამდვილად არ მიყვარს, თუკი რამ ჩემზეა დამოკიდებული, ყოველთვის ვაკეთებ. გარდა ამისა, არის ერთი საყოველთაო კანონი, გუნდი ვალდებულია, მისი მოთამაშეების განსხვავებული თვისებები გამოიყენოს და ერთ კალაპოტში მოაქციოს. ეს უკვე მწვრთნელის ამოცანა გახლავთ. მე ვაკეთებ უკლებლივ ყველაფერს, რასაც მწვრთნელი მიხსნის, მეუბნება და მავალებს. ამასთან, ვცდილობ ეს დავალება არა მხოლოდ შევასრულო, არამედ შევასრულო რაც შეიძლება კარგად. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მწვრთნელებთან და მეგობრებთან ჩხუბი მიზნად არასდროს დამისახავს და არც დავისახავ“.

ხოლო, ბოლო კითხვა, რომელზეც პორტუგალიელმა პასუხი გასცა, ასეთი გახლდათ:

„რას იტყვით იმ საშინელ კრიტიკაზე, რომელიც კარლუშ კეირუშს თავს დაატყდა?“

„მადრიდში ეს ჩვეულებრივი, ნორმალური მოვლენაა, თუმცა მეორე საქმეა, რომ ჩემი ღრმა რწმენით, კარლუშ კეირუშს უსამართლოდ აკრიტიკებენ. ჩვენ ყველა მოგებებს მივაჩვიეთ და როდესაც ვმარცხდებით, ყველას ჰგონია, რომ მათ გარშემო სამყარო ინგრევა. არადა, სინამდვილე გაცილებით მარტივია. უბრალოდ, ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ, „რეალის“ ფეხბურთელები აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და შესაბამისად, ისევე შეიძლება დავმარცხდეთ, როგორც ნებისმიერი სხვა“ — იყო პასუხი.

**პაპუნა ძიდია**

# გერმანულად ნათქვამი სიმართლე

## რუმენიგემ რეალ-ბაიერნი რეალურად შეაფასა

— თქვენი გუნდი გერმანიის ჩემპიონატში ამჟამად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რა სჭირს მიუნხენის „ბაიერნს"?

— რამდენიმე საგულისხმო პრობლემა არსებობს, რაც, საუბედუროდ, ერთმანეთს გადაეჯაჭვა და ამიტომაც გუნდი ბუნდესლიგაში ძველებურად მძლავრად ველარ გამოიყურება. უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდითა და გამარჯვების რწმენით უნდა აღვიჭურვოთ, რათა სეზონის დასასრულს რომელიმე პრესტიჟული ჯილდოს გარეშე არ დავრჩეთ.

— განსაკუთრებით რთული ბავარიული გიგანტისთვის მაინც მომავალი კვირაა. საჩემპიონთალიგო მარათონს მადრიდის „რეალთან" ჩასატარებელი მერვედფინალით უბრუნდებით...

— „რეალის" მოთამაშეები თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე ძლიერი ბიჭები არიან. სამეფო გუნდს ყველაფერი აქვს, რაც მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობას შეეფერება — საიმედო მეკარე, გამოცდილი დაცვა, მოწესრიგებული ცენტრი და ფანტასტიკური მოიერიშე ხაზი. ამიტომ „ბაიერნს" თამაშის მოსაგებად დიდი გარჯა დასჭირდება.

— თქვენ ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი და „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით. საინტერესოა, საერთო ჯამში „რეალ" — „ბაიერნის" მერვედფინალურ დუელს როგორ შეაფასებდით...

*კარლ-ჰაინც რუმენიგე, მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი, მადრიდის „რეალთან" საჩემპიონთალიგო ჯახს საკმაოდ შეშფოთებული ხვდება. დიდი სახელითა და ფანტასტიკური მოთამაშეებით თავმომწონე სამეფო გუნდთან შერკინების პერსპექტივას შეუდრეკელი გერმანელიც კი მწარედ ჩაუფიქრებია. რუმენიგეს მადრიდული „ასი" ესაუბრა*



— საოცრად ძნელი მერვედფინალი იქნება, სხვა დანარჩენებზე გაცილებით მიმზიდველი და დასამახსოვრებელი. უკვე გითხარით, რომ მადრიდელებს მსოფლიოს ნაკრები ჰყავთ, რის გამოც „ბაიერნმა" მათთან გამარჯვების მისაღწევად ისე უნდა ითამაშოს, როგორც არასდროს, თანაც ესპანელებს თავიანთი ოსტატობის გამოვლინებაში იღბალმაც უნდა შეუშალოს ხელი. ფსიქოლოგიურ განწყობასაც დიდი როლი დაეკისრება. მთავარია, ჩვენებმა ჩვეული წონასწორობა და სიზუსტე არ დაკარგონ — „რეალი" მოწინააღმდეგეს უბრალო შეცდომებსაც არ პატიობს ხოლმე.

— მომიტევეთ, მაგრამ კარლ ჰაინც რუმენიგეს მისთვის უცნაურ თვისებას ვამჩნევთ — პესიმიზმს მნიშვნელოვანი ომის წინ. თუ მე ვცდები?

— ცდებით. ეს პესიმიზმი არაა, რეალიზმია.

— სიზუსტე ახსენეთ. ამისთვის მიუნხენელთა ბანაკს მეგოლე როი მაკაი ჰყავს...

— დიახ, ის შესანიშნავი თავდამსხმელია და ჩვენც მისი ბურთაობა თუ საგოლე შემართება სავსებით გვაკმაყოფილებს. როის „დეპორტივოდან" ბუნდესლიგაში გადმოყვანა „ბაიერნის" დიდი სატრანსფერო გამარჯვება იყო.

— ჰოლანდიელის გატანილი ბურთები „ოლიმპიაშტადიონის" ერთადერთი ნათელი მხარეა?

| 5139 | ალბასეტე-მურსია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5140 | სარაგოსა-ვილიარეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5141 | ბილბაო-ბეტისი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ჩელსი-არსენალი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 5002 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,3 | 3.8 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,57 |
| 5004 | ბოლტონი-სიტი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1.13 | 1,51 | 1,37 |
| 5005 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5007 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5008 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5009 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 3,0 | 2.05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5010 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 2,5 | 2,05 | 4.0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5011 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,9 | 2,3 | 5.6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5012 | შალკე-ვერდერი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5013 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5014 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5015 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |
| 5016 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3.1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5017 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,65 | 2.6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5019 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5020 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5021 | ჰერტა-აინტრახტი | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 5022 | სამპდორია-პარმა | 2,5 | 1,95 | 4,4 | 1,09 | 1,59 | 1,35 |
| 5023 | მილანი-ინტერი | 2,7 | 1,95 | 4,0 | 1,13 | 1,61 | 1,31 |
| 5024 | ბოლონია-იუვენტუსი | 4,8 | 2,0 | 2,35 | 1,41 | 1,57 | 1,08 |
| 5025 | კიევო-ლაციო | 4,0 | 2,0 | 2,6 | 1,33 | 1,57 | 1,13 |
| 5026 | მოდენა-ემპოლი | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5027 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5028 | რომა-სიენა | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5030 | უდინეზე-ანკონა | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5031 | ბრეშა-ლეჩე | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5032 | ესპანიოლი-რეალი | 5,6 | 2,25 | 1,95 | 1,6 | 1,44 | 1,04 |
| 5033 | სელტა-მალაგა | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5034 | ვალენსია-ბარსელონა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5035 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5036 | სევილია-სოსიედადი | 2.6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5037 | რასინგი-ვალიადოლიდი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5038 | ოსასუნა-მალიორკა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5039 | ალბასეტე-მურსია | 2,2 | 2,05 | 5,0 | 1,06 | 1,52 | 1,45 |
| 5040 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5041 | ბილბაო-ბეტისი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ჩელსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5302 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 5304 | ბოლტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5308 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5311 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | შალკე-ვერდერი | 1,55 | 2,1 |
| 5313 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5315 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5316 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 5317 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 1,85 |
| 5321 | ჰერტა-აინტრახტი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | სამპდორია-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5323 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5324 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5325 | კიევო-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5326 | მოდენა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5327 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | რომა-სიენა | 1,8 | 1,8 |
| 5330 | უდინეზე-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5331 | ბრეშა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5332 | ესპანიოლი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | სელტა-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | ვალენსია-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5336 | სევილია-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5337 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ოსასუნა-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ალბასეტე-მურსია | 1,65 | 1,95 |
| 5340 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ბილბაო-ბეტისი | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ჩელსი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 5202 | მანჩესტერი-ლიდსი | 2,0 | 1,6 |
| 5204 | ბოლტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 5205 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,9 | 1,7 |
| 5208 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5210 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5211 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,95 | 1,65 |
| 5212 | შალკე-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 5213 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,8 | 1,8 |
| 5217 | ბაიერნი-ჰამბურგი | 2,2 | 1,5 |
| 5219 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 5220 | დორტმუნდი-კიოლნი | 2,0 | 1,6 |
| 5221 | ჰერტა-აინტრახტი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | სამპდორია-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5223 | მილანი-ინტერი | 1,85 | 1,75 |
| 5224 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5225 | კიევო-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 5226 | მოდენა-ემპოლი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5228 | რომა-სიენა | 2,0 | 1,6 |
| 5230 | უდინეზე-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | ბრეშა-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ესპანიოლი-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 5233 | სელტა-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 5234 | ვალენსია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5235 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 5236 | სევილია-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| 5237 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ოსასუნა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ალბასეტე-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5240 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ბილბაო-ბეტისი | 1,75 | 1,85 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (21.02)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,0 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**
**გერმანია (21.02)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,5 |
| ბაიერნი | 2,1 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |

**9003**
**იტალია (21.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**
**ესპანეთი (21.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,3 |
| ვალენსია | 3,8 |
| დეპორტივო | 7,5 |

**9005**
**საფრანგეთი (20.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,2 |
| ლიონი | 3,5 |
| პსჟ | 8,0 |

**9006**
**პორტუგალია (21.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,04 |
| სპორტინგი | 7,0 |
| ბენფიკა | 15,0 |

**9007**
**ჰოლანდია (21.02)**

| | |
|---|---|
| ა. აქსი | 1,16 |
| პსვ | 3,8 |

**9008**
**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 8,0 |

**9011**
**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8.0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |

# ტრავმამ ლაბაძეს მოძებნა



ირაკლი ლაბაძე

**ABN AMRO**
როტერდამი. ჰარდი
საპრიზო 842 ათასი ევრო

**პირველი წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) 6:4, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:5, 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — მარტინ ფერკერკი (8, ჰოლანდია) 7:6 (7:4), 6:7 (4:7), 6:4; **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:2; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:4, 3:0 ჰოიბერგერმა შეწყვიტა; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 4:6, 7:6 (9:7), 6:2

22 წლის ნიკოლაი დავიდენკომ პარადორნ შრიჩაფანს წლევანდელი ევროსიფთაობა წაუმურდლა და მეორე წრეში სავარაუდოდ შარშანდელ ჩემპიონს, ახმახ ბელარუს მაქს მირნის უნდა შეხვდეს.

ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში დამარცხების შემდეგ პირველად გააქნია ჩოგანი დახვეწილმა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა.

ანგარიშიდანვე ხედავთ — წარმატებულად!

ზედიზედ მეორეჯერ პირველსავე წრეში დამარცხდა კორტის ზღვის დონიდან ორი მეტრის ამთვლელი დაჩკაცი მარტინ ფერკერკი — ამ ჯერად იმის გამოც, რომ ორივე კოჭი აწუხებდა. ფინელი ნიემინენი მას უკვე 3:1 უგებს.

მასპინძელთაგან გაივაკა შარშანდელმა ფინალისტმა რაემონ სლოიტერმა, ვინაც ალექს კორეჩა ჰგვემა. კორეჩას ძმობილ ალ კოსტას კი ის დაეხმარა, რომ შვეიცარიელ ჰოიბერგერს მხარმა უმტყუნა.

რაც შეეხებათ რუმინელ პაველსა და რუს იუჟნის, ისინი ერთმანეთს მეოთხედ ხვდებოდნენ და პაველმა პირველი გამარჯვება მოიხვეჭა.

**KROGER ST8 JUDE**
მემფისი. ჰარდი
საპრიზო 690 ათასი $

**სებასტიან დე შონაკი** (საფრანგეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 3:6, 6:3, 6:6 ლაბაძემ შეწყვიტა; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ტაილორ დენტი (3, აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — რობი ჯინეპრი (4, აშშ) 3:6, 7:6 (7:3), 6:2; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ვინს სპედია (5, აშშ) 6:4, 7:5; **უეინ ფერეირა** (7, სამხრეთ აფრიკა) — ბობ ბრაიანი (აშშ) 7:6 (10:8), 6:3; **ნიკოლას კიფერი** (8, გერმანია) — ერიკ ტაინო (აშშ) 6:4, 3:6, 6:1; **ალექსანდრ პოპი** (გერმანია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:3; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:4); **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ამერ დელიჩი (აშშ) 6:4, 6:3

ჟან-მაიკლ გემბილმა თვისტომ ტაილორ დენტის ძლევით ორი კურდღელი დაიჭირა — ერთი რომ ტურნირს შარშანდელი ჩემპიონი გამოაკლო, ხოლო მეორე ის, რომ მასზე ირევანშა შარშან იქაურსავე მეორე წრეში პლუს შარშანწინ უიმბლდონზე დამარცხების გამო.

26 წლისა და სამგზის ტიტულოსანმა გემბილმა თავისი სამი წლით უმცროსი და ასევე სამი ჯილდოს მქონე ტაილორი 77 წუთში გააიმასქნა. ძლეული ჩემპიონი თავს იმით იმშვიდებდა, ჟან-მაიკლის მოგება შარშანაც მაგრად გამიჭირდა, მხოლოდ 7:6, 7:6 მოვუგეო.

სხვაფრივ — ტრავმამ გადამწყვეტი ტაიბრეიკის თამაში არ დაანება ირაკლი ლაბაძეს. ხოლო ანგარიშები გულისყურით-თუ ჩაგიკითხავთ, შეამჩნევდით, რომ გემბილის გარდა იმ დღეს მოთამაშე ყველა ამერიკელს ჩოგნის დაშალითება მოუხდა. ამათგან ყველაზე გასაკვირი განთესილთა — ჯინეპრისა (4) და სპედიას (5) ოტება იყო.

**ATP BUENOS AIRES**
თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**გილერმო კორია** (1, არგენტინა) — ლუის ორნა (პერუ) 6:1, 6:2; **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 6:4; **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:1, 6:3; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (4, ბრაზილია) 6:3, 7:5; **გალო ბლანკო** (ესპანეთი) — აგუსტინ კალიერი (5, არგენტინა) 6:4, 6:2; **მარიანო საბალეტა** (6, არგენტინა) — ჟანრენე ლინარი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) 6:3, 7:6 (8:6); **ხუან იგნასიო ჩელა** (8, არგენტინა) — ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) 7:5, 6:0; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:6 (7:2), 6:1; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:0, 6:1; **დიეგო მოიანო** (არგენტინა) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:1, 4:6, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — გილერმო კანიასი (არგენტინა) 6:3, 4:6, 6:2; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 2:6, 7:5, 6:1

საამდროოდ ჯიშად მეთიხნარენი ბითუმად აწყდებიან ხოლმე ლათინურ ამერიკას. იქ ხომ ოთხი ტურნირი — ჩილეური, არგენტინული, ბრაზილიური და მექსიკური ებმის ერთმანეთს და ნელ კორტზე გაჩვეულ (ძირითადად ესპანურენოვან) ხვადებსაც იქაურ თიხის თონეში ლვწას არაფერი ურჩევნიათ.

ბუენოსაირესულ წითელმიწაზე განთესილთაგან პირველი წრის გადალახვა მხოლოდ წინა კვირას ვინადელმარულ ფინალში ძლეულმა გუსტავო კუერტენმა და ორმაც არგენტინელმა — კალიერიმა და გაუდიომ ვერ შეძლეს.



ერთიანი ბიბლიოთეკა

გუსტავო კუერტენი

ცხრამეტგზის ტიტულოსანი ბრაზილიელი, ვისაც ამ ცხრამეტიდან ცამეტი სწორედ თიხნარზე აქვს მოგებული, სამეზობლოს დედაქალაქში გრიპიანად ჩავიდა. მთელ ტანში მტეხდა და ძალიან დაღლილი ვიყავიო, ამბობდა ის დავიდ ფერერთან წაგებული მატჩის შემდეგ.

რაც შეეხებათ შარშანდელ ფინალისტებს და ამჟამინდელ ფავორიტებს — ტიტულდამცველ კარლოს მოიასა და პირველ ნომრად განთესილ გილერმო კორიას, თავიანი საპირველწრეო ამოცანები მათ იოლად გადაჭრეს.

მოიამ, ვისაც ადრეიანვარში ადელაიდურ ფინალში ტრავმირების შემდეგ ალარსად ეთამაშა, ებრაელ ლევის ჩაურბინა, ხოლო კორიამ კიდევ უფრო დამაჯერებლად აჯობა პერუელ ორნას.

**ლევან ძელაურაძე**



*დღეს ანდალუზიელთა საამაყო ქალაქ ლინარესში მსოფლიოში უძლიერესი საჭადრაკო ტურნირი იწყება. წლევანდელი გათამაშება რიგით 21-ეა და შარშანდლისგან განსხვავებით, ინდოელი დიდოსტატის, ვეიკ ან ზეეს მომგები ვიშვანათან ანანდის და ფიდეს ჩემპიონ უკრაინელ რუსლან პონომარიოვის გარეშე ჩაივლის. თუმც ამით სუპერტურნირის რეიტინგს ბევრი არ დაჰკლებია, იგი სიძლიერით კვლავ უმაღლესი, ანუ მე-20 კატეგორიისაა*

# ლინარესს ესპანელები ესიზმრება

ტურნირზე ითამაშებენ რუსები გარი კასპაროვი და ვლადიმერ კრამნიკი, მასპინძლები ალექსეი შიროვი და პაკო ვალეხო, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უნგრელი პიტერ ლეკო და 16 წლის აზერბაიჯანელი თეიმურაზ რაჯაბოვი.

ტოტალიზატორთა დათვლით, სუპერტურნირის ფავორიტი მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვია 2,1 „კუშით“. პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკეს „ლინარესული ანძა“ 7-ჯერ ალუმართავს, 2000 წელს კი პირველი ადგილი თანამემამულე კრამნიკთან ერთად მოიპოვა და პრიზი მას სათამაშოებს მობეზრებული ბავშვივით დაუთმო.

ბუქმეიკერთა მეორე რჩეული შარშანდელი თანატრიუმფატორი კრამნიკია 4,5 კოეფიციენტით. გასულ წელს მსოფლიოს ერთ-ერთი ვერსიით ჩემპიონი პირველ ადგილზე ლეკოსთან ერთად გავიდა, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით გამარჯვება მადიარს მიაკუთვნეს. ბოლო ხანებში კრამნიკი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის კარგი თამაშით და ბუქმეიკერების მიერ მისი ასე გამოირჩევა ცოტა მოულოდნელია.

შარშანდელი გამარჯვებული ლეკო 6 კოეფიციენტით მესამეა. წლევანდელი სეზონი უნგრელს ურიგოდ არ დაუწყია, ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირში მეორე ადგილი დაიჭირა და ნახევარი ქულით ჩამორჩა ანანდს.

ბულგარელი ტოპალოვი 10 „კუშით“ მეოთხეა. ვესელინს ლინარესში ხუთჯერ უთამაშია, თუმც აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია და ახლა იმით ბაქიაობს, ვეიკ ან ზეეში მეოთხე ადგილი მოვიპოვე და ნახავთ, თუ ესპანეთში უფრო დიდი საქმეები არ დავატრიალოო.

მეხუთე ადგილზე გაესპანელებული შიროვია 22 კოეფიციენტით. ალექსეის სუპერტურნირზე ყველაზე დიდი წარმატება 1998 წლის მეორე ადგილია. პირადი მიღწევების შორივი ჩამოთვლისასის არც იმას ივიწყებს, რომ კასპაროვთან ჯერ არ დამარცხებულა.

შარშან თვით კასპაროვის წამქცევი ბაქოელი ვუნდერკინდი რაჯაბოვი კი 36 „კუშით“ მეექვსე პოზიციაზეა. აზერბაიჯანელი ყმაწვილი ლინარესში მეორედ თამაშობს და განსაკუთრებული კრძალვის გარეშე უშინაურდება დიდოსტატებს.

ბოლო ადგილზე 50 „კუშით“ ესპანელთა აქამდე ვერ ამოსული ვარსკვლავი, 21 წლის ვალეხოა. დამეთანხმებით და, პირენეელს საკმაოდ უგვიანდება „ამოსვლა“. ვალეხო დიდი საერთაშორისო წარმატებებით ვერ დაიტრაბახებს, თუმც ესპანელებს მისი კვლავაც ეიმედებათ, უკეთესი არა ჰყავთ და აკი გასცემენ კიდეც მასზე ავანსებს.

**ლაშა გეგეჭკორი**



გარი კასპაროვი



ვლადიმირ კრამნიკი



პაკო ვალეხო



თეიმურაზ რაჯაბოვი



ალექსეი შიროვი

# მსუბუქი და მძიმე მიუნხენში გაირჩევა

ხვალ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გერმანიაში წავა. ამ უქმეებზე მიუნხენში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. თერთმეტკაციან ქართულ დელეგაციაში ორი მსაჯიცაა. მერაბ ლოსეურაშვილი და ვლადიმერ ნუცუბიძე ორგანიზატორებმა მიიწვიეს, ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა კი თავიდან დასახელებული ცხრა სპორტსმენიდან რვა დატოვა.

ათიოდ დღის წინ პარიზში ვერცხლის მომგებმა ივერი ჯიქურაულმა (100კგ) ამ უქმეებზე ბუდაპეშტშიც ანალოგიური შედეგი აჩვენა და სალიცენზიო მარათონის ლიდერებშიც გაერია, მაგრამ უნგრეთში მიღებული ფეხის ტრავმა მიუნხენის ტურნირის გამოატოვებინებს. მწვრთნელმა ამ წონაში გია გუგავა შეარჩია. ხაბარელისვე გადაწყვეტილებით, უკვე ათენზე მოფიქრალ ნესტორ ხერგიანსა (60კგ) და დავით მარგოშვილს (66კგ) ამჯერად დასვენების უფლება ებოძათ და მათ წონებში გერმანიაში არავინ იჭიდავებს. ზურაბ ზვიადაურს (90კგ) კი მინდია ბოდაველი შეცვლის.

ნაკრებში ვერცხლით დაბრუნებულმა დავით ქევხიშვილმა (73კგ) ქართველ კონკურენტებს კი გადაუსწრო, მაგრამ საგზურისთვის ჯერ კიდევ გვარიანი შრომა მოუწევს. ეროვნულ გუნდში ადგილის დამკვიდრება გიორგი რევაზიშვილსაც ძალუძს, თუმც საამისოდ მომავალ ტურნირებში ქევხიშვილზე უკეთესი შედეგების ჩვენება დასჭირდება. მიუნხენში ორივე მიემგზავრება.

ყველაზე დიდი კონკურენცია მაინც მძიმე წონაშია. ზვიად ხანჯალიაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს ლიცენზიის მოპოვების თითქმის თანაბარი შანსები აქვთ და ხაბარელმა საგერმანიოდაც ორივეს უხმო. უსუსტეს წონად მონათლულ 81 კილოგრამში ამჯერად გრიგოლ შინჯიკაშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი მოსინჯავენ ძალას.

მიუნხენის ტურნირის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრები იქვე სამდღიან ერთობლივ ვარჯიშებზეც დარჩება, მომდევნო ტურნირს კი ორ კვირაში ჩეხეთი უმასპინძლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ძიუდოისტთა ნაკრები**

73კგ
დავით ქევხიშვილი
გიორგი რევაზიშვილი
81კგ
გრიგოლ მამრიკიშვილი
გრიგოლ შინჯიკაშვილი
90კგ
მინდია ბოდაველი
100კგ
გია გუგავა
+100კგ
ზვიად ხანჯალიაშვილი
ლაშა გუჯეჯიანი



# პასპორტი ანუ როგორ გაფრინდა ვიქტორ სანიკიძე რეიკიავიკში

*17 წლის ვიქტორ სანიკიძე თანდათან უშინაურდება ფრანგული „დიჟონის“ ძირითად გუნდს და როგორც კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, მომავალი სეზონიდან ქართველი ახალგაზრდა საბოლოოდ დაემშვიდობება დუბლიორებს. თუმც მანამდე სანიკიძეს შანსი აქვს, დუბლიორთა ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი გახდეს. ქართველი ფორვარდი ჯამური სათამაშო მაჩვენებლებით ყველა თანატოლს სჯობს საფრანგეთში*



ეროვნული ბიბლიოთეკა

**— „დიჟონის“ ძირითად გუნდში ბოლო მატჩი კი ითამაშე, მაგრამ მანამდე არ ჩანდი...**

— ფეხი ვიტკინე და ექიმებმა დასვენება მირჩიეს, თორემ ძირითადი გუნდის განაცხადში მოხვედრის პრობლემა ნამდვილად აღარ მაქვს.

**— განაცხადში კი ხარ, მაგრამ ცოტას გათამაშებენ...**

— ეს არც მიკვირს, ძირითადი გუნდის მატჩამდე დუბლიორები ვთამაშობთ და 40 წუთი მიწევს მოედანზე ყოფნა. დაახლოებით ნახევარ საათში უკვე დიდების მატჩია და ძალიანაც რომ მოვინდომო, 10-15 წუთზე მეტს ვერ ვითამაშებ. ისე ვილები, მოედანზე გასვლა მეზარება ხოლმე, მაგრამ მწვრთნელი რომ მეტყვის, ვიქტორ, გაემზადეო, გადაღლა სულ მავიწყდება.

**— ისე არ შეიძლება, რომ დუბლებში შედარებთ ცოტა გათამაშონ, რათა დიდი გუნდის მატჩისთვის უფრო ჯანზე იყო?**

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ და უჯობთ, თანატოლებში მათამაშონ. თან „დიჟონის“ დუბლიორებს გაცილებით უჭირთ, ვიდრე დიდებს.

**— და მთელ მატჩს გათამაშებენ დუბლიორებში?**

— ჰო, მე გუნდის ლიდერი ვარ და თუ სკამზე ვზივარ, უჭირთ ჩვენებს. თანაც შანსი მაქვს, დუბლიორთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გავხდე, რასაც სტატისტიკური მაჩვენებლებით ადგენენ. მოხსნებში პირველი ვარ, ქულებში მეორე. რაც უფრო მეტ დროს ვატარებ მოედანზე, მით უფრო კარგი შედეგები მაქვს.

**— ყველაზე შედეგიანი მატჩი გაიხსენე „დიჟონის“ ორივე გუნდის შემადგენლობაში.**

— დიდ გუნდში „გრაველინთან“ ვითამაშე 7 წუთი და 6 ქულა და 5 მოხსნა გავაკეთე. დუბლიორებში კი ერთ-ერთ შეხვედრაში 29 ქულა და 17 მოხსნა დამიგროვდა. ისე, დუბლიორებში 20 ქულასა და 10 მოხსნაზე ნაკლებს თითქმის არასდროს ვაკეთებ და ვატო ნაცვლიშვილი უკვე ხუმრობს ამაზე. ვთქვათ, როცა ვეტყვი, დღეს 23 ქულა და 14 მოხსნა გავაკეთე-მეთქი, ქართულ ფილმ „ფეოლაში“ რომ არის, ისეთი ირონიით მიპასუხებს ხოლმე, უჰ, გაგიჭირდებოდა, როგორ მოახერხეო...

**— ასეთი შედეგიანი მოთამაშე დიჟონელებს არც პირველ გუნდში აწყენდათ, როდის დაიწყებ დიდებში სისტემატურად თამაშს?**

— ალბათ მომავალი წლიდან. გუნდის მენეჯერს ნაცვლიშვილისთვის უთქვამს, სანიკიძეს მომავალი სეზონიდან მთლიანად დიდ გუნდში დავტვირთავთ, დუბლიორებთან შეხება აღარ ექნებაო. როგორც კლუბის უფროსობა ამბობს, სამ-ოთხ ძლიერ და გამოცდილ მოთამაშეს დაიტოვებენ, დანარჩენებს კი ახალგაზრდებიდან შეარჩევენ. ამ სამ-ოთხ ძლიერში, რა თქმა უნდა, ნაცვლიშვილიც იგულისხმება.

**— ვატომ მართლა მოუმატა, ბოლო მატჩში საუკეთესო იყო „შალონთან“.**

— „შალონთან“ ვატომ ძალიან კარგად ითამაშა. არავის არაფერი გამოსდიოდა, ნაცვლიშვილს კი ყველაფერი. ქალაქი შალონი მიბმულია დიჟონზე და ამათი მატჩი ერთგვარ დერბად ითვლება. ერთი ამბავია ხოლმე, მასპინძელი თითქმის არასდროს აგებს და ასე იყო ახლაც, იმათ მოგვიგეს.

**— საერთაშორისო მატჩებსაც გაუგე გემო, ამას წინათ ისლანდიის გუნდს ეთამაშეთ...**

— აუ, მაგას ნუ გამახსენებ, დიდი კურიოზი შემემთხვა, ცოტა გრძელი ამბავია...

**— მერე რა, გისმენ...**

— რეიკიავიკში პარიზიდან ლონდონის გავლით მივფრინავდით, მაგრამ მე და ხორვატ პავლოვიჩს ინგლისში შესვლის ნებართვა არ მოგვცეს, რაკი ევროკავშირელები არ ხართ, ტრანზიტული ვიზა გინდათო...

**— ნაცვლიშვილიც ხომ არაევროკავშირელია...**

— ვატო დიჟონში დარჩა, სუსტ გუნდს ვეთამაშებოდით და აღარ შეაწუხეს. მოკლედ, არაო და გუნდს ვერ გავყევით. მე და პავლოვიჩს პარიზში მეგობრები გვყავს და ვიფიქრეთ, კარგ დროს გავატარებდით, მაგრამ როცა უკვე დისკოთეკის კართან ვიყავით, დიჟონის ოფისიდან დარეკეს, პარიზის აეროპორტში მიდით და გუნდის მენეჯერი კოპენჰაგენის გავლით გაგიშვებთ რეიკიავიკშიო. მივედით აეროპორტში და ახლა ისლანდიის საელჩოში გავხდით წასასვლელები, პერსონალური ვიზა იქ უნდა მოგცენო. ვიზა რომ გავაკეთეთ, ახლა კოპენჰაგენის რეისი გადაიდო უამინდობის გამო. გადავირიეთ, მაგრამ რას ვიზამდით. ბოლოს და ბოლოს აეროპორტის უფროსამდე მივიდა ჩვენი ამბავი, „დიჟონის“ კალათბურთელებს მატჩზე აგვიანდებათო. უფროსმა დაგვიბარა და გვითხრა, ხვალ დილით პირდაპირ რეიკიავიკის რეისზე დაგსვავთ, თუ გაწყობთ ასეო. მოკლედ, მეორე დღეს ისლანდიაში ჩავფრინდით ზედ მატჩის წინ და დიჟონის მწვრთნელმა რომ დაგვინახა, თმები ყალყზე დაუდგა, როგორ ჩამოაღწიეთ, არც კი ვიცოდი, პარიზი — რეიკიავიკის რეისი თუ არსებობდა საერთოდო. მერე ანეგდოტი შეთხზა, სანიკიძე ტერორისტია, კოპენჰაგენის რეისი დააყაჩაღა და კოპენჰაგენში ჩამოფრინდაო...

**ირაკლი პერტაია**

# რამდენ წელს მისცემდით ნიკა ცქიტიშვილს?

**„ნაგიტსის“** ახალგაზრდა თავკაც ჯეფ ბზდელიკის მარიფათით ისე მოიხიბლნენ დენვერელები, რომ კოლორადოულ პრესაში უკვე გაჩნდა წერილები მისი წლის მწვრთნელად დასახელების მოთხოვნებით. „როკი მაუნთინის“ ჟურნალისტი ჯონ კრეგერი იმ პლუსებს ჩამოთვლის, რაც ბატონ ბზდელიკს გააჩნია და ამ სტატიის პათოსიც ასეთია — ვისზე ნაკლებია ჩვენი ჯეფი რომ წლის საუკეთესო მწვრთნელი არ გახდესო?

ჩვენი ყურადღება კი ამ წერილის იმ აბზაცმა მიიქცია, სადაც ბზდელიკის მინუსებზე, უფრო სწორად, ნიკა ცქიტიშვილზეა საუბარი — „დენვერის“ მწვრთნელმა ყველაფერი კარგად გააკეთა, მშვენიერი გუნდი შეკრა, მაგრამ ქართველი ფორვარდი ჯერჯერობით არ ამართლებს.“

აი კრეგერის აზრი — „ნიკოლოზ ცქიტიშვილი მეორე წელსაც პერსპექტიულ ბიჭად ითვლება, ის ვერაფრით გაიხსნა. მისი მწვრთნელი ტრევიზოს „ბენეტონში“, მაიკ დანტონი, რომელიც დღეს „ფინიქსს“ თავკაცობს, ამას წინათ დენვერში იმყოფებოდა და ორიოდ კითხვა დავუსვი ქართველის შესახებ. სწორედ დანტონმა გაუწია ცქიტიშვილს რეკომენდაცია „დენვერის“ ხელმძღვანელობასთან შარშანწინდელი დრაფტის წინ.“

„ცქიტიშვილი 3-4-წლიანი პროექტია. მე ეს თავიდანვე ვუთხარი „დენვერის“ ხელმძღვანელობას“ — ამბობს დანტონი.

კრეგერი კი თითქოს პირზე ადგება იტალიელს და ეუბნება — „მე მახსოვს, როცა 2002 წლის დრაფტის წინ ცქიტიშვილზე დაგეკითხეთ, მითხარით, ის 2-3 წელიწადში ვარსკვლავი გახდებაო. 2 წელი თითქმის გავიდა და ის ჯერ საშუალოც არაა.“

დანტონი ღიმილით პასუხობს — „მე დარწმუნებით მახსოვს, რომ მაშინაც იგივე გითხარით, რაც დღეს — ცქიტიშვილს 3-4 წელი სჭირდება დიდი კალათბურთის სათამაშოდ.“



მაიკ დანტონის პირზე დაადგნენ

# მაინც გვეკალათბურთება
## ერაყმა ფიბას ხალხი გვერდზე გაიყვანა და ძღვენიც წაიღო

**ომგამოვლილი** ერაყი სპორტული ცხოვრების ძველი რიტმის აღდგენას ცდილობს. ფეხბურთის კვალად, იქ კალათბურთიც იკიდებს ფეხს. ფიბამ ახლო აღმოსავლეთში კალათბურთის განვითარების პროგრამა შეიმუშავა და დაუზარლად დაბომბილ შუამდინარეთში ამ დღეებში მაღრიბს წარმომადგენლობითი დელეგაციაც მიავლინა.

ფიბას დელეგაცია ჯერ ბეირუთში ჩავიდა, იქიდან დამასკოში, საბოლოო სადგურად კი თავისთავად ბაღდადი ჰქონდა შერჩეული. თუმც სირია-ერაყის საზღვარზე მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საკალათბურთო „მისიონერებმა“ ვერ მოახერხეს ბაღდადში გადასვლა. ერაყის ახლადშექმნილი კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ხალედ აბდალამ, რაღა ასეთი პატივცემული ხალხი შევაწუხოო და იქით ჩავიდა დამასკოს მისი ქვეყნისთვის განკუთვნილი ძღვენის მისაღებად. ფიბამ ერაყის ფედერაციას საჩუქრად გადასცა 150 ბურთი, 3 ტაბლო და სათამაშო ფორმის სრული კომპლექტი ეროვნული ნაკრებისათვის.

დამასკოში კი ფიბას ემისრებმა გრანდიოზული სემინარები და კემპები მოაწყვეს, რომლებსაც 1000 ახალგაზრდა კალათბურთელი და 70 მსაჯი დაესწრო. ღონისძიებას თავისი ძვირფასი ყურადღება არ მოაკლო არაბული სამყაროს ტელელიდერმა „ალ ჯაზირამ“, რომელმაც პირდაპირ ეთერში გადასცა დამასკოში მომხდარი ამბები.

მსოფლიოს კალათბურთის მამები ასევე დახმარების ხელს გაუწვდიან ავღანეთს, აღმოსავლეთ ტიმორს და სოლომონის კუნძულებს.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შანსი მოგეც და ბურთის ჩამაგდებინეო

## ფაჩულია დანწყებას სწავლობს

— 17 თებერვალი —

**მილუოკი 127:104 ორლანდო**
მილუოკი: ფორდი (6 ქულა, 12 პასი), რედი (27), მეისონი (13), სმიტი (17 ქულა, 10 მოხსნა), სკინერი (16); გაძურიჩი (13) პეისლიპი (13), ჯონსი (7), სტრიკლენდი (6), კუკოჩი (5), სანტიაგო (4)
ორლანდო: ლუ (4), ბოგანსი (8), მაკგრეიდი (41), ჰოვარდი (7), ფაჩულია (22 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); უილიამსი (10), გუდენი (8), გირიჩეკი (8), სტრიკლენდი (6), გეინისი (6), პანტერი (2)

**დენვერი 106:85 ფილადელფია**
დენვერი: მილერი (14), ლენარდი (15), ენტონი (28), ნენე (18 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (14 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება); ვაიტი (6), ბერი (5), ბოიკინსი (4), ელსონი (2), ანდერსენი, ცქიტიშვილი (3 წუთი, 0 ქულა)
ფილადელფია: სნოუ (5), სალმონსი (6), რობინსონი (13), ტომასი (17 ქულა, 16 მოხსნა), დალემბერტი; აივერსონი (27 ქულა, 14 პასი), მაკკი (7), ჰამილტონი (6), გრინი (2), კორვერი (2), მაკასკილი, ბაკნერი

**ლეიკერსი 89:86 პორტლენდი**
ლეიკერსი: პეიტონი (15), ბრაიანტი (31 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ფოქსი (5), მედვედენკო (8), ონილი (21 ქულა, 11 მოხსნა); ფიშერი (6), ჯორჯი (3), გრანტი, რაში
პორტლენდი: სტუდემაიერი (14 ქულა, 12 პასი), ანდერსონი (15), მაილზი (12), რენდოლფი (8), რეთლიფი (2); პატერსონი (17), აბდურ-რაჰიმი (16), დევისი, ვუდსი, კუკი, დიკაუ

*სტეფანია სათადარიგო იყო*

**ჰიუსტონი 107:81 ვაშინგტონი**
ჰიუსტონი: ჯეკსონი (17), მინგი (16)
ვაშინგტონი: ტომასი (13)

**მემფისი 109:92 დალასი**
მემფისი: პოუზი (19), სვიფტი (18), გასოლი (17)
დალასი: ნოვიცკი (24)

**ნიუ იორკი 92:88 დეტროიტი**
ნიუ იორკი: მარბერი (28), ჰარდევეი (17)
დეტროიტი: ბილაფსი (26)

**ინდიანა 75:89 ნიუ ორლეანი**
ინდიანა: ონილი (17)
ნიუ ორლეანი: მაშბურნი (20), დევისი (19)

**საკრამენტო 127:111 ბოსტონი**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (28), ბიბი (19), დივაცი (14 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)
ბოსტონი: დევისი (32), პირსი (27)

**მაიამი 97:85 იუტა**
მაიამი: ვეიდი (31)
იუტა: კირილენკო (31)

**მინესოტა 110:95 ფინიქსი**
მინესოტა: გარნეტი (32 ქულა, 14 მოხსნა), კასელი (22 ქულა, 10 მოხსნა), სპრიუელი (21)
ფინიქსი: სტუდემაიერი (29), ჯონსონი (25), მერიონი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო 75:73 ტორონტო**
ჩიკაგო: კროუფორდი (25 ქულა, 11 მოხსნა)
ტორონტო: კარტერი (21), პიტერსონი (19), მარშალი (10 ქულა, 24 მოხსნა)

ზაზა ფაჩულია ჯერჯერობით სრულად ვერ იყენებს ბედის წყალობას, „ორლანდოს“ ძირითადი ცენტრის ენდრიუ დეკლერკის დამტვრევის შემდეგ ფაჩულიასთვის პირველ ხუთეულში ადგილი გამოთავისუფლდა და ზაზამაც მეორედ დაიწყო მატჩი, მაგრამ „მილუოკისთანაც“ ისევე უბრაქო მოსავალი აიღო, როგორც „მაიამისთან“ 22 წუთში 4 ქულა და 3 მოხსნა ის შედეგი არაა, ფაჩულიას მომავალში ადგილს რომ დაუჯავშნის „ორლანდოს“ მოწინავეებში.

ფაჩულიას კიდევ აქვს შანსი და დრო, თავი მეტად გამოიჩინოს და ქულა-მოხსნის უნარი მაქსიმალურად გამოაჩინოს. დეკლერკი ტრავმირებულთა სიაში გადაიყვანეს და ის მინიმუმ კიდევ ოთხ თამაშს გამოტოვებს, შესაძლოა, მეტსაც, ეს კი სწორედ ფაჩულიას მატარებელია, რომელსაც ის აუცილებლად უნდა შეახტეს.



ეს მოხსნა არც ზაზა ფაჩულიას შეხვდა და არც მილუოკელ ჯო სმიტს

„ორლანდომ“ კი უშანსოდ წააგო „მილუოკისთან“. ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ პირად ბრძოლაში დაჩაგრა მილუოკელი სნაიპერი მაიკლ რედი. თუმც ამით მხოლოდ პირადად აირიდა „ორლანდოზე“ დაყრილი ქოქოლა. ყველა დანარჩენი კი, 10 ქულის გამკეთებელი შემონდ უილიამსის გამოკლებით, კაი გაჯორვას იმსახურებს მოედანზე უსუსური ცოცვისთვის.

ამასობაში მოგებებს არ უკლებს ნიკა ცქიტიშვილისთვის შანსის წამრთმევი „დენვერი“. კოლორადოელთა მორიგ იოლ ლუკმად თვით ალენ აივერსონის „ფილადელფია“ იქცა — „დენვერმა“ ამ სტუმარს 21 ზედმეტი ქულა აართვა. კარმელო ენტონის, ნენე ილარიოს და სამქულიანების კონკურსის მომგებ ვოშონ ლენარდს საოლსტარო ხალისი ამ თამაშზეც გამოჰყვათ და არც სხვა პირველი ეშელონის დენვერელები იყვნენ უხასიათოდ. ამათში არ იგულისხმება ცქიტიშვილი, რომლის ვარსკვლავის „დენვერში“ ამობრწყინების მოლოდინი თამაშიდან თამაშამდე კარგავს აზრს. ცქიტიშვილმა სამი წუთით ითამაშა, სულ ვერაფერი გააკეთა და რა გასაკვირია, თუ სკამზე დააბრუნეს.

სხვათა შორის, მატჩში სათადარიგოს სტატუსით ჩაერთო თავადი ალენ აივერსონი, ოღონდ ცქიტიშვილისგან განსხვავებით, მან ბევრი ჩაყარა, მაგრამ ამის საზღაურად ძალიან მცირეს თუ მიიღებდა — ბევრი-ბევრი კლუბის უფროსებისთვის გული მოელბო. აივერსონმა ხომ ოლ სტარის შემდეგ ორშაბათს ვარჯიშზე დააგვიანა და აკი ამიტომ დაასკამეს.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

— 17 თებერვალი —

**ტამპა 5:2 ფილადელფია**
*2:1 1:1 2:0*
1:0 მოდინი (3), 1:1 რეკი (8), 2:1 სან ლუი (9), 2:2 ამონტე (26), 3:2 რიჩარდსი (36), 4:2 ბოილი (47), 5:2 სტილმანი (54)

„ტამპამ“ თავი პლეი ოფში დაიგულა. არც არის გასაკვირი. მართალია, „ელვები“ მხოლოდ მეხუთე ადგილზე არიან აღმოსავლეთში, მაგრამ თავიანთ დივიზიონში უახლოეს მდევარ „ფლორიდას“ 18 ქულით უსწრებენ. ასე რომ, მათი პირველობა სამხრეთ-აღმოსავლეთში ეჭვს აღარ იწვევს. მორიგ მატჩში ტამპელებმა მრისხანე „ფილადელფიაც“ კი არ დაინდეს. მასპინძლები თავიანთ მეტსახელს ამართლებდნენ — მათი შეტევები გაელვებას წააგავდა. თავიდან ერთ-ორ იერიშს კი გაუმკლავდნენ სტუმრები, მაგრამ ბრედ რიჩარდსის სასწაულებრივი გოლის შემდეგ — ამან ჰაერიდან გააგზავნა შაიბა კარში — მასპინძლებმა ინიციატივა სავსებით იგდეს ხელთ. კვლავ გამოირჩა „ჯუჯა“ მარტენ სან ლუი (1+1), რომელსაც ახალი წლის შემდეგ ლამის ყველა თამაშში გოლი გააქვს. „ფილადელფია“ კი სულ დაინავსა. წინა კვირას დაშავებულ კეიტ პრიმოსა და ჯერემი რენიკს სიმონ განიეც დაემატა, რომელსაც შაიბამ ფეხი დაუზიანა.

**ვაშინგტონი 1:1 ოტავა**
*0:0 1:0 0:1 0:0*
1:0 გონჩარი (37), 1:1 ჰოსა (56)

**მონრეალი 1:4 ატლანტა**
*1:1 0:2 0:1*
1:0 ბულისი (7), 1:1 კოვალჩუკი (9), 1:2 კაბერლე (24), 1:3 შტეფანი (33), 1:4 ჰიტლი (48)

**ნიუ ჯერსი 4:4 მინესოტა**
*1:0 2:3 1:1 0:0*
1:0 რასმუსენი (16), 1:1 გაბორიკი (23), 2:1 მარტინი (26), 2:2 ჟოლტოკი (27), 3:2 ჯიონტა (31), 3:3 გაბორიკი (39), 3:4 გაბორიკი (53), 4:4 ჯიონტა (54)

**ტორონტო 2:5 ბოსტონი**
*1:3 1:2 0:0*
0:1 კნუბლი (1), 0:2 ჰილბერტი (12), 1:2 ნოლანი (15), 1:3 მიურეი (7), 1:4 დონატო (23), 1:5 ტორნტონი (24), 2:5 სტეიჯენი (27)



მონრეალელ მაიკლ რაიდერს ავარია შეემთხვა

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორს როზა ბერიკაშვილს მეუღლის
**ლაშა გახარიას**
გარდაცვალების გამო



Euroleague

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 18 თებერვალი

**C ჯგუფი**

ვილერბანი 70:82 ტაუ
პამესა 107:103 ეფესი
ძირითადი დრო 94:94
შლიონსკი 72:77 ბენეტონი
ალბა 70:71 ოლიმპიაკოსი

*გარი ბეტმენი აღარ ხუმრობს. ლოკაუტის საშიშროება დღითი-დღე რეალური ხდება და ნჰლ-ის მეთაურიც ცდილობს, რამენაირად ჩიხიდან გამოსავალი მოძებნოს, თან ისე, რომ ავტორიტეტი არ შეელახოს. მან თავის ქვეშევრდომებთან ერთად მრავალი ღამე გატეხა და კლუბების მესვეურთ ახალი გეგმა წარუდგინა. მართალია მოთამაშეებსა და ჩინოვნიკებს შორის პირველ ყოვლისა ფინანსური პრობლემებია მოსაგვარებელი, მაგრამ, ლიგის მამების აზრით, ჯერ ყველაფერი უნდა ილონონ, რომ ჰოკეისადმი ინტერესი გაიზარდოს და მერე ფულიც გაჩნდება*

# მეკარეებს დაუპატარავებენ და არ გაასრიალებენ

ბეტმენის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტში უამრავი პუნქტია, რომელთაგან ოთხი საკმაოდ რადიკალურია.

1. მეკარეების ფეხსაფრების სიგანე 12 დიუმიდან 10-მდე უნდა შემცირდეს (შესაბამისად 31სმ — 25-მდე)

2. მეკარეებს აეკრძალებათ კარის უკან გასრიალება და იქ შაიბის გაკონტროლება.

3. კარი კვლავ ბორტთან ახლოს მიიწევა, რათა შეტევის ზონა გაიზარდოს.

4. მეტოქეთა ზონის ზღვარი, ეგრეთ წოდებული ცისფერი ხაზი ორჯერ გასქელდება, რაც ოფსაიდების რაოდენობის შემცირებს.

მთლიანობაში ეს ცვლილებები პოზიტიურია, ვინაიდან შემტევთათვის სასარგებლოა, განსაკუთრებით პირველი პუნქტი, ვინაიდან მეკარეები თავიანთი უზარმაზარი ამუნიციით ლამის მთელ კარს ფარავენ. აი, მეორემ კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ მეკარეები კარს უკან გასრიალებით ერთგვარად მესამე მცველის ფუნქციას ასრულებენ, რითაც უკანახაზელებს საქმეს უადვილებენ. მაგალითად, „ნიუ ჯერსის“ ტაქტიკური სქემა ბევრად ამაზეა აწყობილი, ვინაიდან მისი მე-



გარი ბეტმენის აზრები ბევრისთვის უაზრობაა

კარე მარტინ ბროდო ბრწყინვალედ აკონტროლებს შაიბას და ამ საქმეში მას ბადალი არ ჰყავს. ამიტომაც ბროდო და მისი დარი მეკარეები აღშფოთდნენ და პროტესტი გამოთქვეს. მათ შორისაა ტორონტოელი ედ ბელფორი, რომელმაც ამ წესს სასაცილო უწოდა და ბოსების ხუმრობად ჩათვალა.

ასეა თუ ისე, ცვლილებები უკვე განიხილეს გენერალური მენეჯერების სხდომაზე. გუნდების მფლობელების პასუხს კი ზაფხულში ელიან. ცნობისთვის, 80-იანი წლების შემდეგ საშუალო შედეგიანობა ერთ მატჩში 7,5 გოლიდან 5-მდე დაეცა.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

REUTERS ჩეზანატიკოდან



# დაკრძალვა

ასე დაკრძალეს ჩეზანატიკოში მარკო პანტანი. სან ჯაკომოს ეკლესიასთან უამრავმა მგლოვიარემ მოიყარა თავი. ჯიროსა და ტურ დე ფრანსის დიდი იტალიელი ველოსიპედისტი გასულ შაბათს მკვდარი იპოვეს რიმინის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში.

REUTERS ჩეზანატიკოდან



# ძაან ბიძა

„ნიუ იორკს იანკიზის“ ბეისბოლისტთა გუნდის პატრონი ჯორჯ შტეინბერგერი აქეთ ჟურნალისტებს ებაასება, იქით ავტოგრაფებზე მონადირეები ელიან. „იანკებმა“ გუშინ იყიდეს ტეხასელი ალექს როდრიგესი, ამერიკული ლიგის საუკეთესო მოთამაშე და ხმაურიც ამიტომაა ატეხილი. ეს შტეინბერგერი კი ძაან ბიძა ჩანს თავის ბეჭდებიანად.

REUTERS ტამპადან



REUTERS როტერდამიდან



# თავური

როტერდამის „აბნ ამროს“ საჩოგბურთო ტურნირზე ხუან კარლოს ფერერო მეორე ნომრადაა განთესილი შვეიცარიელი როჯერ ფედერერის შემდეგ. ეს ფოტო სწორედ როტერდამული ვარჯიშიდანაა, სადაც ესპანელმა გამეტებული თავური ჰკრა ჩოგბურთის ბურთს.

REUTERS პალერმოდან



# ვარჯიშის დროს

გუშინ იტალიის ნაკრები პალერმოს „რენცო ბარბერას“ სტადიონზე ჩეხებს ეთამაშა. მანამდე კი სტადიონზე ვარჯიშისას იქ ბევრმა სიცილიელმა მოიყარა თავი. ჯოვანი ტრაპატონიმ იმათ შორის ეს პატარა გოგუცუნა ამოირჩია და მასთან ერთად გადაიღო სურათები.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge